თორნიკე დონჯაშვილი

ფემინისტური მოძრაობის გავლენა ქალთა მიმართ ძალადობის კრიმინალიზაციაზე საქართველოში

წარმოდგენილია სამაგისტრო კვლევის პროექტი

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

თბილისი, 0178, საქართველო

2019 წელი

საავტორო უფლება © 2019 წელი, [თორნიკე, დონჯაშვილი]

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

იურიდიული ფაკულტეტი

ჩვენ, ქვემორე ხელისმომწერნი ვადასტურებთ, რომ გავეცანით თორნიკე დონჯაშვილის მიერ შესრულებულ სამაგისტრო ნაშრომს დასახელებით: “ფემინისტური მოძრაობის გავლენა ქალთა მიმართ ძალადობის კრიმინალიზაციაზე საქართველოში” და ვაძლევთ რეკომენდაციას აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის საგამოცდო კომისიაში მის განხილვას სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად.

ხელმძღვანელი: ----------

თარიღი

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

2019 წელი

ავტორი: თორნიკე დონჯაშვილი

დასახელება: ფემინისტური მოძრაობის გავლენა ქალთა მიმართ ძალადობის კრიმინალიზაციაზე საქართველოში

ფაკულტეტი : იურიდიული

ხარისხი: საჯარო მმართველობის / სამართლის მაგისტრი

ინდივიდუალური პიროვნებების ან ინსტიტუტების მიერ ზემომოყვანილი დასახელების ნაშრომის გაცნობის მიზნით მოთხოვნის შემთხვევაში მისი არაკომერციული მიზნებით კოპირებისა და გავრცელების უფლება მინიჭებული აქვს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტს.

თორნიკე დონჯაშვილი

ავტორის ხელმოწერა

ავტორი ინარჩუნებს დანარჩენ საგამომცემლო უფლებებს და არც მთლიანი ნაშრომის და არც მისი ცალკეული კომპონენტების გადაბეჭდვა ან სხვა რაიმე მეთოდით რეპროდუქცია დაუშვებელია ავტორის წერილობითი ნებართვის გარეშე.

ავტორი ირწმუნება, რომ ნაშრომში გამოყენებული საავტორო უფლებებით დაცული მასალებზე მიღებულია შესაბამისი ნებართვა (გარდა ის მცირე ზომის ციტატებისა, რომლებიც მოითხოვენ მხოლოდ სპეციფიურ მიმართებას ლიტერატურის ციტირებაში, როგორც ეს მიღებულია აკადემიური ნაშრომების შესრულებისას) და ყველა მათგანზე იღებს პასუხისმგებლობას.

ანოტაცია

ფემინისტური მოძრაობის ერთ-ერთ მთავარ შემაფერხებელ და ოპოზიციურ ფაქტორად, ქართულ რეალობაში გაბატონებული სტერეოტიპები, რელიგიური შეხედულებები, ტრადიცია, გაბატონებული ეთნო კულტურული სტერეოტიპები და ეკონომიკური დამოკიდებულება გვევლინება. აღნიშნული ფაქტორები ქალთა უფლებების და თავისუფლების საკითხში წარმოადგენს სერიოზულ დამაბრკოლებელ ელემენტებს.

სქესობრივი ძალადობა უმეტეს შემთხვევაში არ იყო აღქმული კანონმდებლობის მხრიდან და ის პირად საკითხად განიხილებოდა, რაც სერიოზულ პრობლემად და ქალის უფლებებისა და თავისუფლებების შელახვას წარმოადგენდა, სადაც როგორც უკვე აღვნიშნეთ კანონმდებლობაში განსაზღვრული პუნქტები, აღნიშნულის მიმართ არასათანადო დამოკიდებულებას ამჟღავნდებდა, რაც განპირობებული იყო ტრადიციული თუ სხვა საზოგადოებრივი შეხედულებებით, ასევე იმ ყოფით სადაც ადამიანებს უწევდათ ყოველდღიური ცხოვრება და შემოქმედება. აღნიშნული საფეხურები, ქართულმა ფემინისტურმა მოძრაობამ ეტაპობრივად განვლო და ასახა ქართულ კანონმდებლობაში ქალის მიმართ ძალადობის ფაქტებზე უმკაცრესი რეაგირების მექანიზმების გამოყენებით. აღსანიშნავია სტამბულის კონვენცია რომელიც სახელმწიფოებს ადამიანის უფლებების დაცვას ავალდებულებს, რაც გამოიხატება იმაში რომ ქალს და მამაკაცს თანაბარი უფლებები გაჩნიათ და დაუშვებელია ქალის უფლებების შელახვა რაიმე ფორმით რადგან ეს დისკრიმინაციას წარმოადგენს.

კვლევაში წარმოგიდგენთ ქართული ფემინისტური ორგანიზაციების მოკლე მიმოხილვას და ისტორიულ ექსკურსს საქართველოს რეალობაში მათ მიერ განხორციელებულ აქტივობებზე, რამაც გავლენა მოახდინა ქალთა მიმართ ძალადობის ფაქტების კრიმინალიზაციამდე აყვანაში.

ნაშრომში განვიხილეთ გენდერულ თემატიკასთან, ქალთა მიმართ და ასევე ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებული საკითხები. ამასთანავე, შევისწავლეთ საქართველოში მოქმედი ზოგიერთი ფემინისტური ორგანიზაციის საქმიანობა, მათი როლი

კანონმდებლობის დახვეწის საქმეში. კერძოდ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ორგანიზაციის რეკომენდაციები კანონის დახვეწის კუთხით.

ბოლოს განვახორციელეთ კვლევა, სადაც აღმოჩნდა, რომ ფემინისტური ორგანიზაციები მეტ-ნაკლებად ნაცნობია ხალხისათვის, თუმცა, აუცილებელია, რომ მათი საქმიანობა მხოლოდ პოპულარიზაციიის მიზნით არ ხორციელდებოდეს. აუცილებელია ამ კუთხით მეტი აქტივობა.

Anotation

სარჩევი

Contents

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი 2

იურიდიული ფაკულტეტი 2

შესავალი 8

ლიტერატურის მიმოხილვა 11

თავი პირველი: ფემინისტური მოძრაობის ისტორიული განვითარება 14

1.1 ფემინიზმის წარმოშობა და ისტორიუული განვითარება 14

1.2. ქართული ფემინიზმის განვითარების ეტაპები 21

1.3 ფემინისტური მოძრაობების, მთავარი გამაერთიანებელი ღირებულებითი საყრდენები 24

თავი მეორე: ქალთა მიმართ ძალადობის პრობლემატიკა 29

2.1 ქალთა მიმართ ძალადობის გამომწვევი სოციალური და ფსიქოლოგიური ფაქტორები საქართველოში 29

2.2 ფემინისტური მოძრაობების ძალისხმევა და გავლენა კანონმდებლობაში ქალთა მიმართ ძალადობის, დამამცირებელი მოპყრობის, ოჯახში ძალადობის, ადევნების კრიმინალიზების შესახებ 36

2.3 ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ საქართველოში არსებული თანამედროვე კანონმდებლობა 44

თავი 3.კვლევა 49

დასკვნა 58

გამოყენებული ლიტერატურა 59

შესავალი

კვლევის აქტუალურობა: ფემინისტური მოძრაობა ეფუძნება უმნიშვნელოვანეს ფუნდამენტურ პრინციპს, „სამართლიანობა“ და „თანასწორობა“ სამართლიანობის პრინციპი განსაზღვრავს თანასწორობის პრინციპს, რომლის მოთხოვნასაც ქალსა და მამაკაცს შორის ბარიერებისა და უთანაბრობის ნიველირება წარმოადგენს. სამართლიანობა, როგორც უზენაესი პრინციპი თავის არსში აერთიანებს თავისუფლებას, რომელიც ადამიანის უფლებათა საყრდენ მამოძრავებელ ღერძს და პიროვნების მაკონსტრუირებელ მექანიზმს წარმოადგენს.

ფემინისტური მოძრაობის არსებითი გაგება მნიშვნელოვნად დაგვეხმარება ქალთა მიმართ ძალადობის თუ სხვა უფლებრივი საკითხების მიმართ წინ გადაგმულ ნაბიჯთა გააზრებაში.

თავისუფლება ყველა მოქალაქის, ქალისა და მამაკაცის მონაპოვარია, რომლის დაცვაც განამტკიცებს დემოკრატიული სახელმწიფოს ფუნდამენტს და ყოველი მოქალაქის უფლებას, ხოლო იქიდან გაქცევა სათავეს უდებს ადამიანის დაშორებას საკუთარ თავთან და უფლებებთან.

ფემინისტური მოძრაობის გავლენა მნიშვნელოვანია, მსოფლიო მაშტაბით, რაც თავის წვლილ გამოძახილს ახდენს ქართულ რეალობაზე და იმ ფემინისტურ ორგანიზაციებზე, რომლებიც საქართველოში ფუნქციონირებენ.

საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლი შეეხება თანასწორობის უფლებას. მე-11 მუხლის მესამე პუნქტში საუბარია, რომ სახელმწიფო უზრუნველყოფს ქალისა და მამაკაცისათვის თანაბარ უფლებებს და შესაძლებლობებს ასევე იღებს განსაკუთრებულ ზომებს მამაკაცებისა და ქალების არსებითი თანასწორობის უზრუნველსაყოფად და უთანასწორობის აღმოსაფხვრელად.

აღნიშნული საკითხი დღის წესრიგში დგას ქართულ სინამდვილეში, რადგან ქალთა მიმართ ძალადობა ჯერ კიდევ სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს და თანასწორობის საკითხი ქალასა და მამაკაცს შორის ჯერ კიდევ არ არის მიღწეული.

ნაშრომში გამოკვლეულ იქნება, ქალთა უფლებების დამცველი არასამთავრობო ორგანიზაციების როლი და მნიშვნელობა, რომელთა დამსახურებით ტრანსფორმაციას განიცდის სოციალური სტრუქტურები და კანონმდებლობა.

კვლევის მიზანი: კვლევის მიზანია გამოკვლეულ იქნეს, ფემინისტური ორგანიზაციების გავლენა ქალთა მიმართ ძალადობის და მათი კრიმინალიზაციის შესახებ.

საკვლევი ამოცანები: კვლევის ამოცანაა შესწავლილ იქნეს, საქართველოში არსებული ფემინისტური ორგანიზაციები და მოძრაობები, ასევე ფემინისტური ორგანიზაციების გავლენა ქალთა უფლებების დაცვისა და ქალთა მიმართ ძალადობის კრიმინალიზების შესახებ.

კვლევის მეთოდოლოგია: კვლევის პროცესში გამოყენებული იქნება ლოგიკური ანალიზის მეთოდი, შედარებითი კვლევის მეთოდი და ბოლოს ჩავატარეთ კვლევა რაოდენობრივი კვლევის მეთოდით.

კვლევის შედეგები: კვლევისას გამოვლინდა , რომ ფემინისტური ორგანიზაციების გავლენა საკმაოდ მნიშვნელოვანია საქართველოში ამ კუთხით არსებული კანონმდებლობის დახვეწისათვის, თუმცა აუცილებელია უფრო მეტი რეალური ნაბიჯების გადადგმა და არა მხოლოდ პოპულარობის მიზნით გაკეთებული განცხადებები.

ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა: ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა, ვლინდება ყოველდღიურ ცხოვრებაში, ქალთა უფლებების დაცვის კუთხით, მათი სიცოცხლის და ღირსების დაცვის თვალსაზრისით. ასევე იმ მნიშვნელოვანი ღირებულების მატარებელი იქნება, ფემინისტური მოძრაობების და ორგანიზაციებისთვის. გასათვალისწინებელია, ასევე ის ფაქტიც, რომ საქართველოში, ნაკლებად არის გამოკვლეული ფემინისტური მოძრაობების გავლენა ქალთა მიმართ ძალადობის და მისი კრიმინალიზაციის ასპექტში,

რაც ასევე დამხმარე სახელმძვანელოს ფუნქციას შეასრულებს სტუდენტებისთვის და საკითხით დაინტერესებული პირებისთვის.

ლიტერატურის მიმოხილვა

ნაშრომზე „ფემინისტური მოძრაობის გავლენა ქალთა მიმართ ძალადობის კრიმინალიზაციაზე საქართველოში“, გამოვიყენთ სხვადასხვა სახის ლიტერატურა, კერძოდ ნორმატიული მასალები, ინტერვიუები, ელექტრონული მასალა, ეიგნები და სხვა. მათ შორის აღსანიშნავია, ლექციების კრებული-„ვის ეშინია ფემინიზმის საქართველოში?“ [1]გამომცემლობა: ჰაინრიხ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონული ბიურო., (2013წ.)

აღნიშნულ გამოცემაში განხილულია ფემინიზმი და ქალის უფლებები, ასევე თანამედროვე ფემინისტური აქტივიზმი საქართველოში. აღნიშნული ლექციების კრებული, კარგ საშუალებას წარმოადგენს, იმისათვის, რომ მოხდეს საქართველოში ფემინისტური მოძრაობების და მცირე ჯფგუფების პრობლემატიკის აღქმა და გააზრება და მათი როლის წარმოჩინება.

ასევე განვიხილეთ შემდეგ გამოცემას, რომელიც დაგვეხმარება გავიაზროთ ქართული ფემინიზმის განვითრების ისტორია. წიგნის ავტორი მელაშვილი თამთა, „ კატო მიქელაძე: ქართული ფემინიზმის უცნობი ისტორიები.“ წიგნში განხილულია ფემინისტური მოძრაობის და აქტივიზმის ყველა საკვანძო საკითხი, რაც იმ პერიოდის საქართველოში არსებობდა, ისტორიული მიმოხილვისთვის ნაშრომი წარმოადგენს კარ საშუალებას, უფრო სიღრმისეულად მოვახდინო ქართული ფემინისტური მოძრაობის გააზრება და გადმოცემა.[2]

განხილულია თამარ კიკნაძის წიგნი გენდერი - „სოციალური და პოლიტიკური სწავლებანი.“ წიგნში განხილულია ფემინისტური თეორიები, ფემინიზმის წარმოშობის და განვითრების წანამძღვრებები, თანამედროვე ფემინიზმის ტიპოლოგია.[3]

---

[1] „ვის ეშინია ფემინიზმის საქართველოში?“ ჰაინრიხ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონული ბიურო., (2013წ.)

[2] მელაშვილი თამთა, „ კატო მიქელაძე: ქართული ფემინიზმის უცნობი ისტორიები.“თბ. 2016

[3] თამარ კიკნაძე, გენდერი - „სოციალური და პოლიტიკური სწავლებანი. თბ.2015.

მაია ტაბიძის მოხსენებას „ფემინსიტური ჯგუფები საქართველოში: დღის წესრიგი, პოლიტიკა და პრაქტიკა“., აღნიშნული მოხსენება მომზადდა ჰაინრიხ ბიოლის კავკასიის რეგიონული ოფისის მხარდაჭერით. მოხსენებაში აღწერილია ქართული ფემინისტური ჯგუფები და მათი გავლენები პოლიტიკურ პროცესებზე და კანონმდებლობაზე.[4]

თინათინ ხაბეიშვილის სტატია „ჩემი ფემინიზმი“. სტატიაში განხილულია ფემინიზმის თანამედროვე გამოწვევები და პრობლემები, ასევე მათი გადაჭრის გზები და მიმდინარე მოვლენების ანალიზი.

ასევე საჯარო ლექციების კრებულს რომელიც გამოცემულია ჰაინრიხ ბიოლის სამხრეთ კავკასიის ბიუროს მხარდაჭერით - „ბრძოლა საჯარო სივრცისთვის: როცა პირადი პოლიტიკურია.“ (თბილისი, 2016წ.)[5]

ასევე სპეციალურ ანგარიშს, რომელიც მომზადებულია ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ. „ქალთა მიმართ ძალადობა და ოჯახში ძალადობა საქართველოში: სპეციალური ანგარიში Violence against women and domestic violence in Georgia: special report 2015 წ.

2010 წლის ანგარიშს „ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის საკითხების ეროვნული კვლევა საქართველოში“ კვლევაში განხილულია ქალთა მიმართ გამოვლენილი უხეში მოპყრობისა და ძალადობის ფაქტები, რაც დაფიქსირდა საქართველოში.

ასევე ნაშრომი ეყრდნობა, საქართველოს კონსტიტუციას, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსს და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსს.

ნაშრომში გარკვეული ადგილი დაეთმობა ევროპის საბჭოს კონვენციას „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის შესახებ“

---

[4] მაია ტაბიძე, მოხსენება - „ფემინსიტური ჯგუფები საქართველოში: დღის წესრიგი, პოლიტიკა და პრაქტიკა“.

[5] ლექციების კრებული, რომელიც გამოცემულია ჰაინრიხ ბიოლის სამხრეთ კავკასიის ბიუროს მხარდაჭერით - „ბრძოლა საჯარო სივრცისთვის: როცა პირადი პოლიტიკურია.“თბილისი, 2016წ.

(სტამბულის კონვენცია), რომელიც საქართველოში 2017 წლის პირველი სექტემბრიდან შევიდა ძალაში.

ამასთანვე, ნაშრომში გამოვიყენეთ შინაგან საქმეთა სამინისტროს და სახალხო დამცველის მიერ გამოცემული ოფიციალური ინფორმაციები და სტატისტიკური მონაცემები.

თავი პირველი: ფემინისტური მოძრაობის ისტორიული განვითარება

1.1 ფემინიზმის წარმოშობა და ისტორიუული განვითარება

მე-20 საუკუნის შემოქმედებას წარმოადგენს ტერმინი „ფემინიზმი“, რომელიც ყოველდღიურ ყოფით ენაში 60-იანი წლებიდან შემოვიდა. ტერმინი ფემინისტი მეცხრამეტე საუკუნეში პირველად იქნა გამოყენებული მამაკაცთა ფემინიზაციის ან ქალთა მასკულინიზაციის აღსანიშნავად.[6] ფემინიზმი დღესდღობით უცვლელად არის დაკავშირებული ქალთა მოძრაობასა და ქალთა სოციალური როლის განვითრების მცდელობასთან. უნდა ითქვას, რომ ამ სახით ფემინიზმს ორ ძირითად შეხედულებასთან აკავშირებენ:

- ქალებს შეზღუდვები აქვთ სქესის გამო;
- მათი მოსპობა შეიძლება და ისინი უნდა მოისპოს.[7]

ფემინისტები ყურადღებას უთმობენ და მთავარ საკითხად გამოკვეთენ, სქესთა უზენაესობას, სადაც თანასწორობა უნდა სუფევდეს მამაკაცებსა და ქალებს შორის, მაგრამ ამის საპირისპიროდ საზოგადოებათა უმრავლესობაში დომინირებს მამაკაცების ბატონობა და ძალმომრეობა.

უნდა ითქვას ასევე ისიც, რომ ფემინიზმს, როგორც მოძრაობას ახასიათებს შეხედულებათა და პოლიტიკურ პოზიციათა მრავალფეროვნება, რაც არა მის სისუსტედ არამედ მის ერთ-ერთ ძლიერ მხარედ უნდა მივიჩნიოთ.

ქალთა მოძრაობა ისტორიის მანძილზე ფართოდ იბრძოდა, როგორც ქალთა საარჩევნო ხმის უფლებების მინიჭებისათვის, თანაბარი განათლების უფლებისუფლებისთვის ასევე ისეთი მნიშვნელოვანი საკითხების ფარგლებშიც, როგორიც არის ქალთა

---

[6] გენდერულ ტერმინთა მოკლე ლექსიკონი – http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0dictiona--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-------0-1l--11-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-11-1-0utfZz-8-00&a=d&cl=CL4&d=HASH01bcd21bf125d27c8b3f53a3.13

[7] ე. ჰეივუდი. პოლიტიკური იდეოლოგიები, თბილისი 2010,277

წინდაცვეთა, აბორტის ლეგალიზაცია და სხვა მრავალი მნიშვნელოვანი საკითხი, რაც ქალთა უფლებრივი მდგომარეობას და მის გაუმჯობესებას გამოიწვევდა.

დროთა განმავლობაში ფემინისტური მოძრაობები ემხრობოდნენ ხან რეფორმისტულ ხანაც რევოლუციურ პოლიტიკურ სტრატეგიებს, რაც დამოკიდებული იყო იმ დროინდელ ვითარებისა და გარემოებაზე.

მე-20 საუკუნის 60-იან წლებამდე გენდერულ განსხვავებებს იშვიათად მიიჩნევდნენ საინტერესოდ და მნიშვნელოვნად. ქალების და მამაკაცების უმრავლესობა ადრეულ წლებში, მიიჩნევდა, რომ შრომის განაწილება ქალსა და მამაკაცს შორის ბიოლოგიის მარტივი ფაქტორით განისაზღვრებოდა: „ქალები შეეფერებიან საოჯახო და საყოფაცხოვრებო საქმიანობას, რადგან, მათ შეუძლიათ დაფეხმძიმება და ბავშვის ძუძუთი კვება, მაშინ როდესაც მამაკაცებს, უფრო დიდი ფიზიკური ძალის გამო, სახლის გარეთ შესასრულებელი და საზოგადოებრივ სფეროში საქმიანობა შეეფერებათ.“[8] ასეთი შეხედულებების შენარჩუნება განპირობებული იყო, ტრადიციების ზეგავლენით, რაც გენდერული განსხვავებების იგნორირებას ახდენდა.

თანამედროვე გაგებით, შეიძლება ითქვას, რომ სიტყვა „ფემინიზმი“ წარმოადგენს ახლებურ გაგებას, მაგრამ განსხვავებულ კულტურებში გვხვდება ფემინისტურ შეხედულებების მრავალფეროვნება.

ფემინისტური შეხედულებათა საწყისების მოძიება შეიძლება ისეთ ძველ კულტურებში, როგორიც არის ძველი საბერძნეთი და ჩინეთი. ქრისტინე დე პიზანის ქალთა ქალაქის წიგნი, რომელიც გამოიცა იტალიაში 1405 წელს, განჭვრეტილია ფემინიზმის თანამედროვე ასპექტები და ფემინიზმის მრავალი იდეით, აღნიშნული ავტორი წარსულის ცნობილ ქალებს და მათ საქმიანობას აღწერდა და იცავდა ქალთა უფლებას, მიეღო განათლება და პოლიტიკური გავლენა, ამის მიუხედავად ქალთა მოძრაობა მეცხრამეტე საუკუნემდე არ განვითარებულა“[9] აღნიშნული ფაქტი მოწმობს, რომ

---

[8] Karen Offen, DEFINING FEMINISM: A COMPARATIVE HISTORICAL APPROAChttps://pdfs.semanticscholar.org/b05b/577a4e10cd22a656cc1a9c76c1424b8958cf.pdf

[9] ე. ჰეივუდი. პოლიტიკური იდეოლოგიები, თბილისი 2010, 278

ფემინისტური მოძრაობის განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი არა ფემინისტურმა იდეებმა იქონია, არამედ ეპოქის მსვლელობამ, თუ უფრო სიღრმისეულად განვიხილავთ ამ საკითხს, დავინახავთ, რომ ფემინიზმის და ქალთა მოძრაობების განვითარებაში უმნიშვნელოვანესი წვლილი ითამაშა ინდუსტრიულმა განვითარებამ.

ადრე სამუშაო იარაღები და ტექნიკური საშუალებები მასკულინურ საწყისებს უკავშირდებოდა, მაგრამ თანამედროვე სამყაროში ტექნიკურმა პროგრესმა ქალებს, ისევე როგორც მამაკაცებს ტექნიკურის საშუალებების თანაბრად ფლობის საშუალება მისცა.

ქალების მიერ ტექნიკური საშუალებების და სხვა მასკულინური თემების ფლობამ, გამოიწვია მათი როლის ზრდა საზოგადო პოლიტიკურ პროცესებში; აღნიშნული საკითხი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საზოგადოების ფსიქო-ემოციურ განწყობაზე, რაც აყალიბებს და მიმართულებას აძლევს საზოგადოების განვითარებას.

თანამედროვე ფემინიზმის პირველ ტექსტად შეიძლება მივიჩნიოთ მერი უოლსთოუნქრაფთის წიგნი „ქალთა უფლებების დაცვა.“ აღნიშნული წიგნი შეიქმნა საფრანგეთის რევოლუციის ფონზე, ცენტრალური ამოცანა გაუჩნდა მეცხარამეტე საუკუნის შუა წლებში ქალთა მოძრაობას, მათ დაისახეს მიზნად ქალებისთვის საარჩევნო უფლებების მინიჭება. ეს პერიოდი აღინიშნება როგორც პირველი ტალღა ფემინისტურ მოძრაობაში, რაც ხასიათდებოდა მოთხოვნით, ქალებს მიენიჭოთ იგივე პოლიტიკური და იურიდიული უფლებები, რაც მამაკაცებს.

ქალებისთვის ხმის უფლების მინიჭება, წარმოადგენდა იმ დროინდელი ფემინისტური მოძრაობის მთავარ ამოცანას და შეხედულებას, იმის შესახებ, რომ, თუ ქალები შეძლებდნენ საარჩევნო ხმის უფლების მიღებას, გარკვეული პერიოდის შემდეგ გაქრებოდა ქალთა დისკრიმინაცია, გაბატონებული ტრადიციული შეხედულებები და ცრუმორწმუნეობის ფორმები.

ქალთა მოძრაობის სიმძლავრე, ყველაზე მეტად შეინიშნებოდა იმ ქვეყნებში, სადაც მძლავრად იყო განვითარებული პოლიტიკური დემოკრატია და ქალებს არ ექმნებოდათ პრობლემები თვითგამოხატვის და საკუთარი აზრის დაფიქსირების გამო. 1840 იან

წლებში, აშშ-ში წარმოიშვა ქალთა მოძრაობა, აღნიშნული საკითხისთვის ბიძგის მიმცემად მიიჩნევა მონობის წინააღმდეგ დაწყებული კამპანია, სადაც მოითხოვდნენ მონობის გაუქმებას. „1848 წელს ჩატარებულმა ცნობილმა თავყრილობამ სენეკა ფოლსში აშშ-ის ქალთა მოძრაობის დაბადება აღნიშნა.“ [10]

მასზე მიღებულ იქნა ელიზაბეტ ქიდი სტენტონის მიერ დაწერილი გრძნობათა დეკლარაცია, რომელიც განძრახ ბაძავდა დამოუკიდებლობის დეკლარაციის ენასა და პრინციპებს, და სხვა საკითხებთან ერთად ქალებისათვის საარჩვნო უფლები მინიჭებას მოითხოვდა“.[11]

1869 წელს დაარსდა ქალთა საარჩევნო უფლებების ასოციაცია, ხოლო 1890 წელს აღნიშნული ორგანიზაცია გაერთიანდა შედარებით კონსერვატიულ ამერიკელ ქალთა საარჩვნო უფლების ასოციასთან. მსგავსი მოძრაბები განვითარდა სხვა ქვეყნებშიც.

1850 იან წლებში დიდ ბრიტანეთში განვითარდა ორგანიზებული მოძრაობა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჯონ სტიუარტ მილის მიერ უარყოფილ იქნა თემთა პალატაში ქალთა მოძრაობის მიერ წარდგენილი მოთხოვნა საარჩვნო ხმის უფლების მოთხოვნასთან დაკავშირებით.

1903 წელს ჩამოყალიბდა ქალთა სოციალური და პოლიტიკური კავშირი, რის შემდეგ ბრიტანეთში ფემინისტური მოძრაობის ტაქტიკამ, რომელიც ქალთა საარჩევნო ხმის უფლებას შეეხებოდა შეიძინა მეტად საბრძოლო შემართება.ფემინიზმის პირველი ტალღის დასრულება ქალებისთვის ხმის მიცემის უფლების მინიჭებაში გამოვლინდა, ქალთა მოძრაობისათვისსაკმაოდ დიდმოვლენს და მიღწევას წარმოადგენდა პირველი

[10] What is feminism http://gestproject.eu/wp-content/uploads/2016/11/Anastasia-Flouli-AUTH-3-Waves-of-Feminism.pdf
[11] DEFINING FEMINISM: A COMPARATIVE HISTORICAL APPROAC https://pdfs.semanticscholar.org/b05b/577a4e10cd22a656cc1a9c76c1424b8958cf.pdf

ასეთი გამარჯვება, რაც კანონმდებლობაშიც აისახა დაფიქსირდა ახალ ზელანდიაში 1893 წელს.[12]

1920 წელს აშშ-ის კონსტიტუციის მეცხრე დამატებით საარჩევნო უფლება მიენიჭათ ამერიკელ ქალებს, რამაც მნიშვნელოვანი გავლენა იქონია სხვა ქვეყნებზეც. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ იგივე სახის კანონი ქალთა არჩევნებში მონაწილეობის შესახებ დიდ ბრიტანეთში 1918 წელს იქნა მიღებული, მაგრამ ამ უფლებით სარგებლობას ერთი ათწლეული დასჭირდა.

„საარჩევნო ხმის მოპოვების საკითხში გამარჯვებამ, მნიშვნელოვნად შეასუსტა ქალთა მოძრაობა. ის იმ დროისთვის აღარ იყო იმდენად შეკრული და მკაფიო მიზნით გამორჩეული, რაც განპირობებული იყო დასახული მიზნის შესრულებით ხმის უფლებისათვის ბრძოლამ რამაც გააერთიანა ქალთა მოძრაობები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში, მნიშვნელოვან კრიზისს განიცდიდა. ქალების საკმაოდ დიდ ჯგუფს სჯეროდ, რომ ხმის უფლების მოპოვებით, მოხდებოდა ქალთა სრული ემანსიპაცია, რაც იმ დროისათვის შესაბამისად გულუბრყვილო დამოკიდებულებას წარმოადგენდა.[13]

ქალთა მოძრაობა აღდგა მე-20 საუკუნის 60-იან წლებში. ფემინისტური აზრის აღორძინებას დიდად შეუწყო ხელი ბრეტი ფრიდანის „ქალის საიდუმლო“-ს გამოქვეყნებამ. ფრიდანმა ამოცანად დაისახაშეესწავლა და გამოევლინა ეგრეთწოდებული უსახელო პრობლემად წოდებული, იმედგაცრუება და უბედურების გრძნობა, რასაც ქალთა უმრავლესობა განიცდიდა დიასახლის-ცოლისა და დედის როლში ჩაკეტილობის გამო.რაც შეეხება ფემინიზმის მეორე ტალღას, ის აღიარებდა რომ, პოლიტიკური და „იურიდიული უფლებების მიღებას ქალთა საკითხი არ გადაუჭრია, და კვლავ იდგა დღის წესრიგში მთელი რიგი პრობლემებისა, რისი მოგვარებისთვისაც საჭირო იყო ქალთა მასობრივი თვითორგანიზება და მობილიზება. ფემინისტური

---

[12] HISTORY AND THEORY OF FEMINISM, http://www.gender.cawater-info.net/knowledge_base/rubricator/feminism_e.htm

[13] HISTORY AND THEORY OF FEMINISM, http://www.gender.cawater info.net/knowledge_base/rubricator/feminism_e.htm

იდეათა რადიკალიზაცია შეინიშნებოდა დროთა განმავლობაში, რაც მას რევოლუციურ მუხტს სძენდა.“[14]

აღნიშნულ საკითხს მეტად ამძაფრებდა რიგი ავტორებთა ისეთი წიგნები, რაც აღნიშნულ საკითხს უმწვავესად წარმოაჩენდა საზოგადოების წინაშე, და ბრძოლისა და დარაზმულობის ჟინს აღძრავდა, მაგალითად ქეით მილტის წიგნი „სექსუალური პოლიტიკა“ და ჟერმენ გრირის „ქალი საჭურისი“ წარმოადგენდა საზღვრების უკუგდების პრინციპს, აღნიშნული ავტორები ყურადღებას ამახვილებდნენ ისეთ პრობლემატურ და აქტუალურ საკითხებზე, როგორიცაა ქალთა ჩაგვა, მათი პირადული საკითხის პრობლემა, ფსიქოლოგიური და სექსუალური ასპექტების გამო დისკრიმინაცია და შევიწროება. ფემინისტური მოძრაობის მეორე ტალღის მთავარი მიზანი არა უბრალოდ ქალთა პოლიტიკური ემანსიპაციაარამედქალთა განთავისუფლება იყო, რაც ბუნებრივად აისახა ქალთა მზარდგანმანთავისუფლებელ იდეაში. ასეთი ცვლილებების განხორციელების საშუალებად ფემინისტური ჯგუფები სოციალურ ცვლილებებში ხედავდნენ. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ადამიანს არ გააჩნია სხვა თავისუფლება, გარდა საკუთარი ძალისხმევიდან მიღებული, ხოლო ასეთი ძალისხმევა ბუნებრივად მოითხოვს შრომას საკუთარი შესაძლებლობების და უნარების გასავითარებლად,შრომის შესაძლებლობაუნდა ჰქონდეს ადამიანს, როგორც ადამიანის სუბსტანციური მოთხოვნილების.[15]

მე-20 საუკუნის 60-იან და ადრეულ 70-იან წლებში ფემინიზმმა და მისმა რადიკალურმა მიმდინარეობამ თავისი კუთვნილი ადგილის მოპოვება შეძლო. ფემინიზმის იდეები ეწინააღმდეგებოდა ტრადიციული პოლიტიკური და საზოგადოებრივი ღირებულებების კონცეპტებს, რაზედაც დაშენებული იყო მთელი იმდროინდელი საზოგადოებრივი მსოფლმხედველობა. ქალთა მოძრაობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიღწევად უნდა ჩაითვალოს, ისიც, რომ მათ შეძლეს სქესის და გენდერული ასპექტების მაღალ აკადემიურ დისკურსში გადაყვანა და ფართო წრის ჩაბმა დისკუსიაში, ასევე აღნიშნული საკითხის საზოგადოებისათვის გასაგებ და მისაღებ ენაზე გადოცემა და

[14] ე. ჰეივუდი. პოლიტიკური იდეოლოგიები, თბილისი 2010, 278
[15] ე. ფრომი.ყოფნის ხელოვნება. თბილისი 2015, გვ.65

განმარტება.ყველა დასავლურ ქვეყანაში არსებობდა ფემინისტური ორგანიზაციები, მათ შორის, იყვნენ განვითარებადი ქვეყნები, სადაც დემოკრატიის და ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხი ხარისხობრივად ვერ იყო იმ სიმაღლეზე როგორც ეს დასავლეთის ქვეყნებში გვხვდებოდა.აღნიშნული ტენდეცია დამახასიათებელი იყო მე-20 საუკუნის 90-იან წლების პერიოდისთვის. აღნიშნულ პროცესს წინ უსწრებდა დერადიკალიზაციის პროცესი 70-იანი წლებში, რაც დამახასიათებელი იყო ადრეული ფემინიზმისთვის, სადაც შეინიშნებოდა უკომპრომისო პოზიციებიდან უკან დახევა. აღნიშნულმა ფაქტორმა ხელი შეუწყო ისეთი იდეის პოპულარიზაციას, როგორიც იყო პოსტფემინიზმი, აღნიშნული თავის თავში გულისხმობდა, რომ ფემინისტურ მოძრაობის მიერ დასახული მიზნები შესრულდა. განასხვავებენ ფემინისტური ძირითადად ფემინისტურ ტრადიციებს, როგორიცაა:

- ლიბერალური;
- სოციალისტური;
- რადიკალური ფემინიზმი;
- პოსტმოდერნისტული ფემინიზმი;
- ფსიქოანალიტიკური ფემინიზმი;
- შვკანიანთა ფემინზმი;
- ლესბიანური ფმინიზმი და ა.შ.[16]

რაც შეეხება ქალთა მოძრაობის საკითხის განვითარებას და მის აღმოცენებას ქართულ რეალობაში, ის თითქმის თანმდევ პროცესად ჩამოყალიბდა მსოფლიოში განვითრებული მოვლენების ფონზე. ფემინისტური ჯგუფების და ფემინისტ ქალთა გაჩენა ქართულ სახელმწიფოში, წარმოადგენდა დროულ და შესაბამისად ადექვატურ რეაქციას მსოფლიოში მიმდინარე პროცესებისა., მართალია, იმ დროინდელი საზოგადოება, არ ფლობდა თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიურ საშუალებებს,

[16] ე. ჰეივუდი. პოლიტიკური იდეოლოგიები, თბილისი 2010, 281

მაგრამ, ეს სულაც არ ქმნიდა რაიმე დაბრკოლების საბაბს, რადგან ამ პერიოდში მნიშვნელოვნად იყო განვითარებული სათქმელის წერილობითი ფორმით გავრცელების ტექნოლოგიები, ასევე ზეპირი ფორმით უშუალოდ საჯარო გამოსვლების დროს, რაც ხელს უწყობდა იდეების მეტად გაგებას, ემოციონალურ დონეზე. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ფემინისტური მოძრაობები არ იყო მთლად ისე ფართოდ წარმოდგენილი, ქართულ რეალობაში, როგორ ეს ხდებოდა ევროპაში ან აშშ-ში.

1.2. ქართული ფემინიზმის განვითარების ეტაპები

თავდაპირველი XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე შეიმჩნეოდა, ქართული ფემინისტური გამოსვლები, რომელიც უმთავრესად წარმოდგდგენილი იყო პუბლიცისტურიწერილებით. პოლიტიკურიუფლებებისმოპოვებისკენილტვოდნენ ქართველიპუბლიცისტები რათა მათ შეძლებოდათ მოეპოვებინათ აღნიშნული უფლება ქალებისთვის. 1918-1921 წლებისპირველიდემოკრატიული რესპუბლიკის არჩევნებზე აისახა ქართველი ფემინისტების ბრძოლის შედეგი, როდესაც, დამფუძნებელი კრების არჩევნებში მონაწილეობა მიიღეს ქალებმა, ეს იმ დროის მსოფლიოსათვის მნიშვნელოვან მაგალითს წარმოადგენდა, რადგან მთელ რიგ ქვეყნებში არათუ ქალებს არ ეძლეოდათ პასიური მონაწილეობის უფლება არამედ ეზღუდებოდათ აქტიური ხმის უფლებაც.

ისტორიულ, კულტურულ მეხსიერებას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება რაიმე ახლის დანერგვაში ან გაუქმების მიმართებით. ამ მხრივ ქართულ ისტორიულ მეხსიერებაში და კულტურაში,არაერთი ფაქტი არსებობს ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის შესახებ. ლიტერატურული თვალსაზრისით, ყველაზე მკაფიოდ და შემეცნებითად, არის გადმოცემული შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“, სადაც ქალისა და კაცის უფლება თანასწორად არის მიჩნეული: „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს თუნდა ხვადია“.

აღნიშნული ფილოსოფიური აზროვნება, შემდგომდროინდელი ყოფის თუ ცხოვრების ნიუანსებში არაერთხელ იქნა წამოჭრილი და გაანალიზებული, მაგრამ ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ქართული სახელმწიფოს გეოპოლიტიკური მდებარეობა აღმოსავლური და დასავლურ ცივილიზაციათა გზაგასაყარზე მყოფია, რამაც დროთა მსვლელობისას თავისებური კვალი დაამჩნია ქალთა მიმართ ამოკიდებულების საკითხს, მაგრამ ის ფსიქო სოციალური საწყისი, რაც განსაზღვრულადაა მოცემული, ბევრად აღემატება ორივე ცივილიზაციის ნარატივს, როგორც დროის ისე კონცეპტუალური მიდგომების თვალსაზრისით.პირველი რესპუბლიკის 130 დეპუტატიდან, ხუთი ქალი იყო. „აღნიშნული საკითხი მნიშვნელოვანი წარმატება იყო იმდროინდელი საზოგადოებისთვის, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ფემინისტური მოძრაობის განვითარება საქართველოში ფუნდამენტურად შეაფერხა საბჭოთა ოკუპაციამ, რომელიც თითქოს ქადაგებდა გენდერულ თანასწორობას.[17]

რეალურად, საბჭოთა კავშირში უარყოფითად განვითარდა ქალთა მიმართ სტერეოტიპების ჩამოყალიბება და განვითარება. ცვლილებების ტალღასაბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დაიწყო. უკიდურესი სოციალური და ეკონომიკური შეჭირვების ფონზე ადაპტირება შეძლეს არსებულ სიტუაციასთან ქალებმა, რაშიც იგულისხმებოდა, იმ ოჯახური თუ სხვა სახის პრობლემეატიკის მეტნაკლებად მოგვარება, რამაც საფუძველი შექმნა ქალთა წარმოდგენაში, რომ გამხდარიყვნენ უფრო მეტად სოციალურად აქტიურები და მობილიზებულები.“[18]

აღნიშნულმა სტიმულებმა და განვითარების ეტაპებმა, განაპირობეს მძაფრი რეაქცია მამაკაცებში, რაც ხშირ შემთხვევაში შაშინელი ძალადობით მთავრდებოდა ქალებზე. მამაკაცების მსგავსი აგრესია, ქალთა მიმართ, გამოწვეული იყო და არის მათი უფუნქციო მდგომარეობაში აღმოჩენით, მამაკაცები ვერ ასრულებდნენ იმ პასუხისმგებლობას, რაც მათ აქვთ წარმოშობილი სოციუმში და ოჯახში. აღნიშნული საკითხი, როგორც უკვე

[17] ბიოლის ფონდი„ფემინიზმი და ქალის უფლებები: მოძრაობა ნაპირიდან ცენტრისკენ“ თბილისი: 2014, http://feminism-boell.org/ka/2014/05/08/peminizmi-da-kalis-uplebebi-mozraoba-napiridan-centrisaken

[18] გაფრინდაშვილი.ლ „ფემინიზმი და ქალის უფლებები: მოძრაობა ნაპირიდან ცენტრისკენ“

აღვნიშნეთ აგრესიას აყალიბებს და მათ უქმნით აზრს, მათი უფუნქციო მდგომარეობაში აღმოჩენა ქალთა აქტიურობის შედეგია, რაც მწვავე შემთხვევაში ქალთა მიმართ ძალადობაში, მოსპობაში და სხვა მავნე ქმედებებში ხორციელდება.

ქალთა მიმართ ძალადობა მიზანმიმართულად იყო ქალების წინააღმდეგ, რომელიც სისტემურ ხასიათს ატარებდა, იმ დროს როცა მაღალ განვითრებულ დემოკრატიებში აღნიშნული საკითხი თითქმის მოხსნილი იყო დღის წესრიგიდან. საქართველოში აშკარა იყო გენდერული საკითხებთან დაკავშირებული პრობლემურობა, აღნიშნულთან მიმართებით შეიქმნა მრავალი არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც მუშაობდნენ აღნიშნულ საკითხებზე. „ერთ-ერთი დამფუძნებელი, ბაია პატარაია აღნიშნავს, რომ სპონტანურად შექმნილი ორგანიზაცია, "ქალთამოძრაობა", სწორედ 2014 წელს ფემიციდის ხშირი მიყოლებითი შემთხვევების შემდეგ შეიქმნა, რომელმაც ყველა ფემინისტური ორგანიზაცია გააერთიანა. საქართველოს "ქალთამოძრაობამ", არაირჩია ერთი პროფილით მუშაობა, განსხვავებით სხვა ორგანიზაციებისგან, არამედ, როგორც ალბატონი ბაია ამბობს – "ქალთამოძრაობას" აინტერესებს ყველა ასპექტი ქალისპოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ცხოვრებისა. პრიორიტეტებს ვარჩევთ სიმწვავისა და მნიშვნელობის მიხედვით. ვმსჯელობთ დავირჩევთ მიმართულებას, იმას სადაცვთვლით, რომ რაიმეს შეცვლა ხელგვეწიფება. მრავალი ფემინისტური ჯგუფის გაერთიანების შედეგია აღნიშნული მოძრაობ".[19] ქართული ფემინისტური მოძრაობა, საკუთარ აქტივობას, ფართო მნიშვნელობით და განხრით წარმოაჩენს, რადგან მიიჩნევენ, რომ ქალთა პრობლემა და თანასწორობის საკითხი ვიწრო მსჯელობის საგანს არ წარმოადგენს.[20]

] თუ ქალი იდევნება, ან ძალადობა ხორციელდება მასზე, ის განხილული უნდა იყოს როგორც მისი კონკრეტიზაციის ფარგლებში, ისე ფართო გააზრების ჭრილში. აქ

---

[19]გამთენაძე.ზ„ქალთა მოძრაობა საქართველოში",https://civicuscela.wordpress.com (02.06.2019)

[20] გამთენაძე.ზ„ქალთა მოძრაობა საქართველოში",https://civicuscela.wordpress.com (02.06.2019)

გასაკვირი არ უნდა იყოს ის ფაქტი, რომ საქართველოში ქალთა მოძრაობში მრავლად არის წარმოდგენილი სხვადასხვა სოციალური ფენის ადამიანი, რომელთა საერთო რიცხვი შეადგენს რამდენიმე ასეულს, აღნიშნული მაჩვენებელი კი არ წარმოადგენს, იმის თქმის საფუძველს, რომ ფემინისტური მოძრაობა საქართველოში მძლავრია მომხრე ან მოკავშირე წევრთა რაოდენობის მიხედვით. აღნიშნული სისუსტე გამოწვეულია ქართული ფემინისტური მოძრაობის დაქსაქსულობისგან, და საკითხთა მიმართ სპონტანური მიდგომებით, აღნიშნული მიდგომა გრძელვადიან სტრატეგიაში, დიდწილად აზიანებს და არ იძლევა სასურველ შედეგებს ფემინისტური მოძრაობებისთვის, რომლებიც ქართულ რეალობაში წარმოდგენილნი არიან.

1.3 ფემინისტური მოძრაობების, მთავარი გამაერთიანებელი ღირებულებითი საყრდენები

ფემინისტური მოძრაობის მთავარ ღირებულებით საყრდენს ქალსა და მამაკაცს შორის თანასწორობა წარმოადგენს, რომლის მოპოვება და დაცვა ფემინისტური მოძრაობის უმნიშვნელოვანეს კომპონენტს წარმოადგენს. ფემინისტური მოძრაობა წარმოიშვა ფემინისტური მსოფლმხედველობიდან, ფემინისტური მოძრაობა განიხლიავს ისეთ საკითხებს როგორიც არის პატრიარქალიზმი, გენდერისა და სქესის მიმართების საკითხი, საზოგადო და პირადულის ცნება და მისი დაყოფა, თანასწორობის და განსხვავებულობის საკითხებს, აღნიშნული თემები ღირებულებითი თვალსაზრისით მნიშვნელოვან ასპექტებს წარმოადგენენ ფემინიზმის და ფემინისტური მოძრაობების რაობის გასაგებად, თუ ისთვის იბრძვიან აღნიშნული ორგანიზაციები და რა არის გამომწვევი მიზეზი ამ ყოველივესი. ტრადიციული კონცეფციების თანახმად პირადული და საზოგადო განსხვავებულ ცნებებს წარმოადგენს, აქ პოლიტიკური ან მასთან დაკავშირებული სხვა ტიპის საქმიანობა საზოგადო ასპარეზად არის მოხსენიებული, ხოლო ოჯახი პირადი სფეროდ, რაც არ მიიჩნეოდა პოლიტიკურად. „მაგრამ

აღნიშნულთან დაკავშირებით, ფემინისტურმა მოძრაობამ დაუპირისპირა შემდეგი გაგება, მათი თქმით, პოლიტიკა არის ყველა სოციალური ფენისა თუ ჯგუფისთვის და არა მხოლოდ მთავრობისთვის ან ვიწრო ჯგუფების მასში მონაწილეობისთვის, აღნიშნული საკითხი, მნიშვნელოვან გარღვევას წარმოადგენდა თანამედროვე საჯარო სივრცის გააზრების საკითხში, სადაც ფემინისტური მოძრაობების და მათი პუბლიცისტების ცალსახა დამსახურებაა. ფემინისტები, ამტკიცებდნენ, რომ სქესთა შორის უთანასწორობის შენარჩუნების მიზეზია საზოგადოებაში გაბატონებული შრომისდანაწილება სქესის მიხედვით, რომელსაც ადრე უფრო ბუნებრივ დაყოფად მიიჩნევდნენ."[21]

ქალთა მოქცევა მხოლოდ, საოჯახო და კერძო სფეროში, საზოგადო პოლიტიკურ სივრცეს მამაკაცთა გაბატონებულ და ძალაუფლების მოდულად განიხილავდნენ, იმ შემთხვევაში თუ პოლიტიკა მხოლოდ საზოგადოებრივი სფერო კუთვნილებას წარმოადგენს, მაშინ ქალთა როლს და სქესთა თანასწორობის საკითხი განდევნილი ან ძალიან უმნიშვნელო დოზით არის მოცემული, სადაც ქალებს არავითარი პოლიტიკური მნიშვნელობა არ გააჩნიათ, აღნიშნული თვალსაზრისით ქალები ვერავითარ შემთხვევაში გავლენას ვერ იქონიებენ, არათუ საკუთარი უფლებების მოპოვების და დაცვის თვალსაზრისით, რასაც საზოგადო პოლიტიკურ პროცესებზე მნიშვნელოვანი გავლენა ესაჭიროება არამედ ისინი მთლიანად იგნორირებული იქნებიან, რასაც ფემინისტური მოძრაობების თვალთახედვით შეცვლა ესაჭიროება. სქესთა თანასწორობის საკითხი, წარმოადგენს ერთ-ერთ ამოსავალ ღირებულებას, რასაც ეფუძნება ფემინისტური ორგანიზაციები და აღნიშნული წარმოადგენს გამაერთიანებელ ქვაკუთხედს, რადიკალურად განწყობილი დაქსაქსული ჯგუფებისთვისაც. ყველაზე აქტიურ ოპონირებას რადიკალური ფემინისტები უწევდნენ იმ იდეას, რომ პოლიტიკა სახლის ზღურბლთან თავდება, რის საწინააღმდეგოდაც მიიჩნევდნენ, რომ „პირადული პოლიტიკურია."[22]

---

[21] ე. ჰეივუდი. პოლიტიკური იდეოლოგიები, თბილისი 2010, 282

[22] ე. ჰეივუდი. პოლიტიკური იდეოლოგიები, თბილისი 2010, 283

ქალთა ჩაგვრა აისახებოდა და მოქმედებდა ცხოვრების ყველა კომპონენტში.სხვადასხვა აზრთა კონსოლიდაციის შედეგად, მიჩნეული იქნა, რომ ქალთა ჩაგვრა ოჯახებში წარმოიშობა, შესაბამისად აღნიშნული რადიკალური ფრთა ფემინისტური მოძრაობების ცდილობდა, იმის გაანალიზებას თუ რას შეიძლება ეწოდოს პოლიტიკა და რას არა.ზოგიერთი ფემინისტი, მიიჩნევს, რომ პირადი სივრცის გაერთიანება საჯაროსთან, გამოიწვევს პირადი პასუხისმგებლობების გადაბარებას სახემწიფოზე და ორგანიზაციებზე. ლიბერალი ფემინისტები ეწინააღმდეგებიან საზოგადოებრივისა და კერძოს დაყოფას, თვლიან რომ ასეთი დაყოფას, რაც მათი აზრით ზღუდავს განათლების მიღების სამუშოს და სხვა მნიშვნელოვანი ასპექტებში ჩართულობის შესაძლებლობას. ფემინისტებს სჯერათ, რომ სქესი ისეთივე მნიშვნელოვანი მახასიათებელია, როგორიც არის რასა, სოციალური კლასი ან კიდევ რელიგია, სქესობრივი დაყოფა ან დისკრიმინაცია მნიშვნელოვან პრობლემად არის განხილული და გააზრებული. სქესი წარმოადგენს ყველაზე მნშვნლოვან და ძირეულ განმასხვავებელ ნიშანთვისებას საზოგადო პოლიტიკურ ცხოვრებაში. სექსიზმი ასევე ფემინისტური ჯგუფების მიერ მიჩნეულია, როგორც ერთ-ერთი ჩაგვრის და დამცირების ფორმა, რის წინააღმდეგაც მიზანდასახულ კამანიებს აწარმოებენ მთელი მსოფლიოს მასშტაბით. ფემინისტებმა განავითარეს ახალი კონცეფცია, რომ საზოგადოება დაფუძნებულია სქესთა უთანასწორობასა და ჩაგვრაზე. ძალთა გადანაწილების აღსაღნიშნავად მამაკაცთა და ქალთა შორის პატრიარქალურობის ცნება შემოდის. აღნიშნული ტერმინი რომ განვმარტოთ ნიშნავს, მამის მმართველობას. მამის მმართველობა შეგვიძლია გაგებული იყოს როგორც ვიწრო გაგებით ისე მისი უზოგადესი მნიშვნელობით, მისი ვიწრო გაგება, წარმოადგენს, ქმრის, მამის, ძმის ბატონობას ქალზე, რასაც ეწინააღმდეგებიან ფემინისტები, ხოლო მისი უზოგადესი გაგებით კი ეს არის, რელიგიური დოგმების წინააღმდეგ გალაშქრება, კერძოდ კი მამა ღმერთის, როგორც ყველას მამის წინააღმდეგ, აღნიშნულ საკითხს ღრმა რელიგიური ფესვები გააჩნია, რომლის ერთ-ერთი ნიმუშად ადამ და ევას მაგალითი მოვიყვანოთ, როგორც ევას (ქალი) მამა ღმერთის მიერ მისი ადამის ნეკნიდან შექმნის შესახებ, რაც ქალების აღქმა მამაკაცთა დაქვემდებარებაში და

ადამის მორჩილებაში გამოხატა, ეს არქეტიპული სახე ხატი მამის, ყველა ცივილიზებულ ქალში და კაცში არსებობს, რომლებიც საკუთარ შინაგანში მატარებლები არიან მსგავსი დაყოფის, აღნიშნულ ფაქტს, სხვადასხვა რელიგიური დოგმები და წეს ჩვეულებები ამყარებდა სხვადასხვა დროს, რითაც მნიშვნელოვნად იზღუდებოდა ქალის როგორც პიროვნების და ინდივიდის უფლება და თავისუფლება, აქედან გამომდინარე სრულებით ბუნებრივ ოცემულობას წარმოადგენს აღნიშნულ ტერმინში გავიგოთ არა მხოლოდ ფიზიკური მამის ცნება არამედ მისი უზოგადესი. აღნიშნული ტერმინი უფრო ყოფით დონეზე მაგრამ ზოგადი კრიტერიუმებით, აღნიშნავს ზოგადად მამაკაცთა მართველობას, მაგრამ ჩვენს მიერ მოყვანილი განმარტებები ერთმანეთთან წინააღმდეგობაში არ მოდიან, პირიქით ისინი ურთიერთ ჰარმონიას და შეთანხმებულ ერთობას წარმოადგენენ, სადაც დომინანტად გამოკვეთა მამაკაცურის საფუძველზე ხორციელდება. დასავლურ ქვეყნებში ქალის მდგომარეობა მნიშვნელოვნად არის შეცვლილი და დაცული, როგორც საარჩევნო უფლებების კუთხით, ისე საქორწინო და საოჯახო მიმართულებით, რასაც ვერ ვიტყვით განვითარებად ქვეყნებზე, სადაც მაღალია ქალთა სიკვდილიანობა, ქალთა დიდი ნაწილი მსხვერპლია ისეთი მავნე და შემზარავი ტრადიციის, როგორიც არის ქალთა წინდაცვეთის რიტუალი, ასევე საკმაოდ მაღალია ისეთი არასასურველი ფაქტები, როგორიც არის შერჩევითი აბორტი, ამის გამო განვითარებად ქვეყნებში მკვეთრად გაიზარდა მამაკაცთა რაოდენობა ხოლო კატასტროფულად არის შემცირებული ქალთა რიცხოვნობა, რაც ფემინისტური მოძრაობებისათვის მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს. პატრიარქალურობა წარმოადგენს რწმენას, რომ მამაკაცთა დომინირებისა და ქალთა დაქვემდებარების პრინციპი, რომელიც მთლიანად საზოგადოებას ახასიათებს, ფაქტობრივად, ოჯახში არსებული ძალთა გადანაწილების ასახვას წარმოადგენს. ანტიფემინისტური მოსაზრებები ხშირა მოიაზრებენ რომ მამაკაცი და ქალები ასრულებენ სოციალურ როლებს რისთვისაც ისინი ბუნებამ შექმნა. ფემინისტები ტრადიციულად უპირისპირდებიან იდეას, რომ ბიოლოგია განსაზღვრავს ადამიანის ბედს, ისინი მკვეთრ ზღვარს ავლებენ სქესსა და გენდერს შორის. „სქესი ბიოლოგიური განმასხვავებელია მამაკაცსა და ქალს შორის, ხოლო გენდერი ეს არის კულტურული ტერმინი, ის ასახავს

განსხვავებულ როლებს, რომელთაც საზოგადოება მამაკაცებსა და ქალებს მიაწერს, გენდერული განსხვავებები ჩვეულებრივ ინერგება „მასკულინური“ და „ფემინური“ „პსტერეოტიპებით“.[23]

როგორ სიმონ დე ბოვუარმა მიუთითა „ქალებს ქმნიან, ისინი არ იბადებიან“. პატრიარქალური იდეები აბუნდოვანებენ განსხვავებას სქესსა და გენდერს შორის. ფემინისტური მოძრაობების მთავარ მამოძრავებელ ფაქტორს წარმოადგენს გაბატონებული პატრიარქატის დასრულება, რაც მამაკაცებსა და ქალებს შორის თანასწორობის მიღწევით უნდა გამოვლინდეს, აღნიშნული მიმართულებები წარმოადგენენ მსოფლიოში ფემინისტური ჯგუფების და მოძრაობების მთავარ მამოძრავებელ საყრდენ წერტილებს, რაც განსაზღვრავენ მათი მოქმედების სტრატეგიას და პოლიტიკას, შეცვალონ არსებული გაბატონებული მდგომარეობა და ქალთა ჩაგვრა როგორც საზოგადოებაში გაბატონებულ სტეროტიპთა მიერ ასევე ამ სტერეოტიპთა გავლენით მამაკაცების ძალმომრეობტრივი მდგომარეობა.

[23] ე. ჰეივუდი. პოლიტიკური იდეოლოგიები, თბილისი 2010, 281

თავი მეორე: ქალთა მიმართ ძალადობის პრობლემატიკა

2.1 ქალთა მიმართ ძალადობის გამომწვევი სოციალური და ფსიქოლოგიური ფაქტორები საქართველოში

უკანასკნელი წლების განმავლობაში, საქართველოს ხელისუფლება დაინტერესებულია ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებით, ამის გამოძახილად შეგვიძლია მივიჩნიოთ 2006 წელს მიღებული კანონი „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ.“[24] 2012 წელს კი განხორციელდა ოჯახში ძალადობის კრიმინალიზაცია.[25] აღნიშნული კანონი და ასევე ცვლილებები სისხლის სამართლის კოდექსში ძალიან წინგადადგმული ნაბიჯი იყო ქალთა დაცვის საქმეში, თუმცა მიუხედავად ამისა საზოგადოების თვითშეგნების დაბალ დონეს მივყავართ იქამდე, რომ ქალებზე ძალადობის შემთხვევები, კვლავაც ოჯახის საქმედ ითვლება და მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში ხდება შესაბამისი ორგანოებისადმი მიმართვა.

გაეროს ქალთა ორგანიზაციის ცნობით, საქართველოშ ოჯახური ძალადობის შემთხვევები ძალიან მცირე რაოდენობით აღირიცხება, რაც შეიძლება გამოწვეული იყოს:

- საზოგადოების დაბალი ინფორმირებულობით ამ პრობლემის შესახებ,
- შურისძიებისა და სტიგმატიზაციის შიშით,
- სამართალდამცავი ორგანოების მიმართ ნდობის ნაკლებობით და

[24] საქართველოს კანონი „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ.“ - https://matsne.gov.ge/ka/document/view/26422?publication=14

[25]შინაგან საქმეთა სამინისტრო - https://police.ge/ge/projects/odjakhshi-dzaladoba

- ასევე ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ არსებული მექანიზმებისა და სერვისების გაუმართაობით.[26]

2009 წელს საქართველოში ჩატარდა ეროვნული კვლევა, რომელმაც საკმაოდ რთული შედეგი აჩვენა. გამოკითხული 11 ქალიდან 1 ქალი იყო ფიზიკური და სექსუალური ძალადობის მსხვერპლი მისი მეუღლის ან პარტნიორის მხრიდან, ხოლო 34.7%-მა ფიზიკური ან სექსუალური ძალადობის შედეგად დაზიანებები მიიღო.[27]

აღსანიშნავია, რომ კანონის მიღების და ასევე კრიმინალიზაციის შემდეგ მიმართვიანობის სტატისტიკა შეიცვალა, მაგალითად 2016 წლის განმავლობაში საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ გამოვლინდა :

- ოჯახში ძალადობის 2,726 შემთხვევა.
- 93% შემთხვევაში მოძალადე იყო კაცი,
- მსხვერპლთა 87% იყო ქალი. [28]

რაც შეეხება, ზემოთ ნახსენებ კვლევას, აღმოჩნდა, რომ ყველაზე ხშირად ქალებზე ზემოქმედების განხორციელების მიზნით მოძალადეები მიმართავენ ფსიქოლოგიურ ძალადობას, კერძოდ:

- შეურაცხყოფა ,
- დამცირება,
- დაშინება ,
- მუქარა.

2018 წელს განხორციელებული კვლევის ანალოგიური მონაცემები ასე გამოიყურება:

[26] გაეროს ქალთა ორგანიზაცია - http://georgia.unwomen.org/ka
[27] ეროვნული კვლევა საქართველოში ოჯახში ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ, 2009, გვ. 33 და 44.
[28] საქართველოს სახალხო დამცველი - http://www.ombudsman.ge/geo/akhali-ambebi/shexvedra-studentebtan-qalta-mimart-dzaladobis-sakitxebze

რაც შეეხება ძალადობის სახეებს, დოკუმენტის მიხედვით, შსს-ს ყველაზე ხშირად ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის შემთხვევაში მიმართავენ, ყველაზე იშვიათად კი სექსუალური ძალადობის დროს.

- ფსიქოლოგიური - 7109
- ფიზიკური - 1705
- ეკონომიკური - 198
- იძულება - 74
- უგულებელყოფა - 68
- სექსუალური - 25.[29]

აუცილებლად უნდა აიღნიშნოს ის ფაქტი, რომ ძალადობის შემთხვევები ყველაზე ხშირია იმ ქალების შემთხვევაში, რომელსაც აქვთ არასრული საშუალო განათლება, თვალსაჩინოებისათვის ციფრებში ასე შეგვიძლია გამოვსახოთ:

- გამოვლენილი ძალადობის შემთხვევებიდან არასრული საშუალო განათლების მქონე ქალებზე მოდის დაახლობით 60-65 % ი,
- საშუალო, ტექნიკური ან უმაღლესი განათლების მქონე ქალებში დაახლოებით 30-35 %.

რაც შეეხება, დასაქმებულ და დაუსაქმებელ ქალთა შორის სტატისტიკას, ძალიან დიდი მაჩვენებელი მოდის იმ ქალებზე, რომელსაც არ გააჩნიათ შემოსავალი და ეს ციფრი დაახლოებით 80 %-ია. [30]

როგორც ზემოთ უკვე ავღნიშნეთ ქალების უმრავლესობა ოჯახში ძალადობას პირადულ საკითხად აღიქვამს. მათი აზრით ოჯახური პრობლემები უნდა განიხილებოდეს მხოლოდ ოჯახში. სწორედ ამ სტერეოტიპების გამოა, რომ მიუხედავად სახელმწიფოს

[29] ახალი კვლევის მიხედვით, საქართველოში 7-დან 1 ქალი ოჯახში ძალადობის მსხვერპლია - http://www.tabula.ge/ge/story/143954-2018-tsels-saqartveloshi-qalze-dzaladobis-minimum-5875-shemtxveva-moxda

[30] საქართველოს სახალხო დამცველი - http://www.ombudsman.ge/geo/akhali-ambebi/shexvedra-studentebtan-qalta-mimart-dzaladobis-sakitxebze

მიერ გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯებისა მიმართვიანობა, მხოლოდ უმნიშვნელოდ გაიზარდა.

2010 წელს განხორციელებულმა კვლევამ გვიჩვენა, რომ როგორც სიტყვიერი, ისე ფიზიკური ძალადობის შემთხვევების რიცხვი უფრო მაღალია დაბალი განათლების და დაბალი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ქალებს შორის, განსაკუთრებით მაღალი პროცენტით შეიმჩნევა ძალადობის შემთხვევები აზერბაიჯანელ ან სხვა ეთნიკური წარმომავლობის ქალებს შორის.[31]

2018 წლის კვლევებს თუ დავეყრდნობით, საქართველოში ქალთა მიმართ ძალადობის შემთხვევები გახშირდა, რადგან თუ 2009 წელს გამოკითხული 11 ქალიდან ერთი იყო ძალადობის მსხვერპლი, 2018 წლის მონაცემებით საქართველოში:

- 7-დან 1 ქალს ოჯახში ძალადობა გამოუცდია,
- ქალების 9% სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ბავშვობაში გახდარა,
- 5-დან 1 ქალი ამბობს, რომ სექსუალური შევიწროება გამოუცდია.[32]

ძალიან საინტერესო და ცოტა უცნაურ ტენდენციასთან გვაქვს საქმე, რადგან აღნიშნული 2018 წლის კვლევა აჩვენებს, რომ საქართველოში ქალებისა და კაცებისთვის ქალთა მიმართ ძალადობა მისაღებია, კერძოდ: [33]

- ქალების თითქმის ერთ მეოთხედს (22%)მიაჩნია, რომ ცოლის ცემა გარკვეულ გარემოებებში გამართლებულია.
- კაცების ერთ მესამედს (31%) მიაჩნია, რომ ცოლის ცემა გარკვეულ გარემოებებში გამართლებულია.

---

[31] რეპროდუქციული ჯანმრთელობის კვლევა, საბოლოო ანგარიში, დაავადების კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრი, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, საქართველოს ეროვნული სტატისტიკის სამსახური, 2010, გვ.312.

[32]ახალი კვლევის მიხედვით, საქართველოში 7-დან 1 ქალი ოჯახში ძალადობის მსხვერპლია - http://liberali.ge/news/view/34756/akhali-kvlevis-mikhedvit-saqartveloshi-7dan-1-qali-ojakhshi-dzaladobis-mskhverplia

[33] ახალი კვლევის მიხედვით, საქართველოში 7-დან 1 ქალი ოჯახში ძალადობის მსხვერპლია - http://liberali.ge/news/view/34756/akhali-kvlevis-mikhedvit-saqartveloshi-7dan-1-qali-ojakhshi-dzaladobis-mskhverplia

ასევე, მნიშვნელოვანია, რომ გამოვლინდა ქალების დამორჩილების უპრეცედენტო შემთხვევები, რადგან :[34]

- ქალების ერთი მეოთხედი (23%) მიიჩნევს, რომ ცოლი ქმარს მაშინაც კი უნდა დაემორჩილოს, თუ მას არ ეთანხმება
- კაცების ნახევარი (42%) მიიჩნევს, რომ ცოლი ქმარს მაშინაც კი უნდა დაემორჩილოს, თუ მას არ ეთანხმება.

ძალიან რთული მდგომარეობა გვაქვს სექსუალური ძალადობის კუთხითაც.

- 2014 წელს სექსუალური ძალადობის 80 შემთხვევა
- 2015 წელს სექსუალური ძალადობის 87 შემთხვევა.

აღნიშნული ციფრი კატასტროფულად გაიზარდა 2018 წელს, კერძოდ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით ქალზე ძალადობის 5875 შემთხვევა მოხდა. უწყების მიერ გამოქვეყნებული სტატისტიკის მიხედვით, ოჯახში ძალადობის შემთხვევებიდან მსხვერპლი 5875 ქალი იყო, კაცი კი 1018.[35]

რაც შეეხება სექსუალურ ძალადობას, სტატისტიკიდან გამომდინარე, ვფიქტობთ, რომ ყველა დანაშაულებრივი ქმედების აღრიცხვა არ ხდება, რაც სავარაუდოდ გამოწვეულია საზოგადოებაში არსებული სტიგმით , დამნაშავის მიმართ შიშით ან სამართალდამცავი ორგანოების მიმართ უნდობლობით და სპეციალიზებული მომსახურების ნაკლებობით.

რაც შეეხება სტატისტიკას , ასე გამოიყურება:

- 2014 წელს 32 პირი გასამართლდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 137-ე მუხლით (გაუპატიურება),
- 2015 წელს - 21 ადამიანი, მათ შორის, ერთ-ერთი გასამართლდა მეუღლის გაუპატიურების ბრალდებით.

---

[34] ახალი კვლევის მიხედვით, საქართველოში 7-დან 1 ქალი ოჯახში ძალადობის მსხვერპლია - http://liberali.ge/news/view/34756/akhali-kvlevis-mikhedvit-saqartveloshi-7dan-1-qali-ojakhshi-dzaladobis-mskhverplia

[35] 2018 წელს საქართველოში ქალზე ძალადობის მინიმუმ 5875 შემთხვევა მოხდა - http://www.tabula.ge/ge/story/143954-2018-tsels-saqartveloshi-qalze-dzaladobis-minimum-5875-shemtxveva-moxda

- 2018 წელს - 25 ადამიანი გასამართლდა გაუპატიურებისათვის.

საქართველოში ასევე ძალიან ხშირია სამუშაო ადგილზე ქალების სექსუალური შევიწროების შემთხვევები, თუმცა ამის შესახებაც არ საუბრობენ როგორც წესი. ასევე ძალიან ხშირია ქალებზე ძალადობის შემთხვევები ქუჩაში, თუმცა ამაზე მიმართვიანობა ითქმის არ არსებობს და არც სტატისტიკა.

2014 წელს ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კომიტეტმა საქართველოში პარტნიორების მიერ ქალთა მკვლელობის მზარდი რიცხვის გამო შეშფოთება გამოთქვა და რეკომენდაციები გასცა პრევენციული ზომების მისაღებად.[36]

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ გამოქვეყნებული ანგარიშიდან როგორც ირკვევა საქართველოში 2014 წელს გენდერული ნიშნით ჩადენილი ქალთა მკვლელობის 34 შემთხვევა დაფიქსირდა.

- 2016 წელს მოკლული იქნა 32 ქალი, რომელთაგან 14 მოკლული იქნა ოჯახის წევრის მიერ, ხოლო 18 - სხვა პირის მიერ.
- 2017 წელს მოკლული იქნა 26 ქალი, რომელთაგან 14 მოკლული იქნა ოჯახის წევრის მიერ, ხოლო 12 - სხვა პირის მიერ.
- 2018 წლის 10 თვეში მოკლული იქნა 11 ქალი, რომელთაგან 5 მოკლული იქნა ოჯახის წევრის მიერ, ხოლო 6 - სხვა პირის მიერ.[37]

ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ თითქმის ყველა ზემოთ დაფიქსირებული მკვლელობის შემთხვევაში, ქალებს მკვლელობამდე მიმართული ჰქონდათ

---

[36] ქალთა მიმართ ძალადობის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენცია, დასკვნითი შენიშვნები, 4-5.

[37] 2018 წელს ქალთა მკვლელობების მაჩვენებელი 58%-ით შემცირდა – შსს - https://reginfo.ge/human-rights/item/10737-2018-xels-qalta-mkvlelobebis-machvenebeli-58-it-shemzirda-%E2%80%93-shss

პოლიციისათვის, თუმცა ამან ვერ აარიდა ფატალურ შედეგს, ეს კი გვაძლევს იმის თქმის საბაბს, რომ პოლიცია არაეფექტურად ან ნაკლებად ეფექტურად მუშაობს ამ მიმართულებით.

ფემიციდზე საუბრისას აუცილებლად უნდა ვისაუბროთ ქალების თვითმკვლელობის ფაქტებზეც, ექსპერტები თვლიან, რომ ქალთა თვითმკვლეობის მიზეზი ხშირ შემთხვევში მათი ადრეული და იძულებითი ქორწინებაა.[38]

არასრულწლოვანთა ქორწინების მხრივაც ძალიან რთული მდგომარეობა გვაქვს

ქვეყნის მასშტაბით:

- 2015 წელს, 18 წელს მიუღწეველ პირთა 611 ქორწინება დარეგისტრირდა, სადაც 578 არასრულწლოვანი გოგონა იყო.
- 2015 წელს 14-დან 16 წლამდე ასაკის 224 მოსწავლემ და 17-დან 18 წლამდე ასაკის 351 მოსწავლემ მიატოვა სწავლა ადრეული ქორწინების გამო.

მომავალში, სწორედ ნაადრევი ქორწინებით შექმნილი ოჯახების პრობლემად იქცევა ხოლმე ძალადობა, რადგან მათ არ აქვთ განათლება, რომ მოიპოვონ ფინანსური დამოუკიდებლობა, ამის გამო კი იძულებულნი ხდებიან აიტანონდ დამცირება, ფიზიკური, სექსუალური და ფსიფოლოგიური ძალადობა. თუმცა არის უამრავი მიზეზი რაც ამ გოგონებს ნაადრევად გათხოვებას აიძულებს, ამ მიზეზებიდან უნდა გამოიყოს , შემდეგი:

- საზოგადოების ინფორმირებულობის დაბალი დონე.
- გოგონების და მათი მშობლების განათლების დაბალი დონე,

[38] ოჯახში ძალადობა და ქალთა მიმართ ძალადობა საქართველოში, სპეციალური ანგარიში, საქართველოს სახალხო დამცველი,საპარლამენტო ანგარიში, 2014

- სიღარიბე ,
- გოგონების მოტაცების შიში (განსაკუთრებით ეთნიკურად არაქართულ მოსახლეობაში)[39]

ქალების მიმართ ძალადობის შემთხვევად უნდა განვიხილოთ ე.წ სელექციური აბორტები. აბორტის გაკეთების მიზეზი ხშირ შემთხვევაში არის ბავშვის მდედრობითი სქესი. აღნიშნულის მთავარი მიზეზი ხშირ შემთხვევაში არის საზოგადოებაში არსებული მოსაზრება ვაჟთა უპირატესობის შესახებ.

ქალბზე ეკონომიკური ძალადობის ერთ-ერთ ფორმად უნდა განვიხილოთ სუროგატი დედობა. როდესაც ქალები სთანხმდებიან სუროგატ დედობას გარკვეული თანხის სანაცვლოდ. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ ჩასახვის პროცედურა არ არის სამართლებრივად დარეგულირებული, რამაც შეიძლება სუროგაციის მსურველი ქალები ძალადობისა და ექსპლუატაციის მსხვერპლად აქციოს.

როგორც ვხედავთ მეტნაკლებად გამოიკვეთა ქალთა მიმართ ძალადობის გამომწვევი სოციალური და ფსიქოლოგიური ფაქტორები საქართველოში, ჩვენი აზრით პირველ რიგში აუცილებელია საზოგადოებაში არსებული სტერეოტიპების ნგრევა , რათა მოიხსნას ის ფსიქოლოგიური ფაქტორები რაც ხშირ შემთხვევაში აიძულებს ქალებს აიტანონ ძალადობა, ხოლო მამაკაცს არწმუნებს, რომ ის ქალზე „მეტია“ და შეუძლია მისი მართვა ან|და მასზე ძალადობა.

2.2 ფემინისტური მოძრაობების ძალისხმევა და გავლენა კანონმდებლობაში ქალთა მიმართ ძალადობის, დამამცირებელი

[39] http://www.parliament.ge/uploads/other/75/75719.pdf

მოპყრობის, ოჯახში ძალადობის, ადევნების კრიმინალიზების შესახებ

ქართულ ფემინისტურ მოძრაობას მიუხედავად იმისა, რომ დიდი ხნის ისტორია აქვს, შეიძლება ითქვას, რომ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ბოლო რამდენიმე წელია, რაც მუშაობის აქტიურ ფაზაში იმყოფება. რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაცია მუშაობს ამ მიმართულებით და უკვე საგრძნობი პროგრესია მიღწეული გარკვეულ საკითხებთან დაკავშირებით.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველოში ურთულესი ვითარება შეიქმნა, როგორც სოციალურ ეკონომიკური კუთხით, ისე ფსიქოლოგიური თვალსაზრისითაც, საზოგადოება გაურკვევლობაში აღმოჩნდა. სწორედ ასეთ რთულ ვითარებაში დასავლეთის ფინანსებით შეიქმნა რამდენიმე უფლებადაცვითი ორგანიზაცია, მათ შორის ქალთა უფლებების კუთხით. ორგანიზაციების შექმნიდან ძალიან მალე დაიწყო საკანონმდებლო სივრცის გაუმჯონესება.

ფემინიზმის კუთხით მომუშავე ორგანიზაციებიდან აღსანიშნავია, 2011 წელს შექმნილი „ფემინისტების დამოუკიდებელი ჯგუფი. ორგანიზაციის მთავარი მიზანი სექსიზმთან დაპირისპირება იყო. თუმცა აღნიშნული ორგანიზაცია და სხვა ორგანიზაციებიც თითქოს მხოლოდ საკითხების პოპულარიზაციას ეწეოდნენ და რეალური, ქმედითი ნაბიჯები თითქმის არ გადადგმულა.

2014 წელი ამ კუთხით გარდამტეხი აღმოჩნდა, რადგან ცნობილი გახდა, რომ 25-ზე მეტი ქალი საკუთარი პარტნიორებისაგან, რამდენიმე ყოფილი ქმრისაგან იქნა მოკლული. ორგანიზაციებმა დაინახეს, რომ მათი აქტივიზმი არ კმაროდა და საჭირო იყო გაცილებით მასშტაბური პროტესტი, რათა მთავრობას და ზოგადად საზოგადოებას გაეაზრებინა, რამდენად მძიმე იყო არსებული მდგომარეობა.

2016 წელს ქალთა უფლებებზე და გენდერის საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციებმა, კერძოდ:

- ქალთა ფონდი საქართველოში,
- პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის,
- მიგრაციის სახლი,
- ფონდი ტასო,
- ფემინისტების დამოუკიდებელი ჯგუფი
- ლგბტ საქართველო,
- ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი ,
- ქალები რეგიონის განვითარებისთვის ,
- ქალთა მოძრაობა
- ქალთა საინფორმაციო ცენტრი (ჭIჩ)
- ინიციატივა სოციალური ცვლილებებისთვის (Iშჩ)
- ლგბტქი ასოციაცია-თემიდა
- სტუდიომობილი - აქცენტი მოძრაობაზე
- ჰელფინგ ჰენდი

ერთობლივი განცხადება გააკეთეს ქალებზე ძალადობის ისეთი ფორმის შესახებ როგოეიცაა, მისი პირადი ინფორმაციიის, კერძოდ ინტიმური ცხოვრების ამსახველი კადრების გავრცელება.

მათ მოუწოდეს მთავრობას, რომ „სასწრაფოდ შეიმუშაოს და განახორციელოს სტრატეგიული პროგრამები, რომელთა მიზანი იქნება ქალთა თანასწორობის იდეის, როგორც კონსტიტუციური პრინციპის საზოგადოებისთვის მიწოდების უზრუნველყოფა და კიბერ-დანაშაულის აღკვეთა-პრევენცია. „[40]

[40] http://www.ginsc.net/home.php?option=article&id=33899&lang=ge#.XRnQVOszbIU

თანამედროვე პირობებში გაცილებით მარტივია ფემინისტურ საკიხებზე მომუშავე ორგანიზაციის შექმნა და საქმიანობა. თუმცა ამ საკითხზე მომუშავე ორგანიზაციათა უმეტესობა ფიქრობს, რომ პრობლემების დასაძლევად ყველაზე სწორ გზას თავად ადგანან და სწორედ ამიტომ დამოუკიდებლად მოქმედებენ.

რაც შეეხება სექსიზმს კანონმდებლობაში და გენდერული სტერეოტიპების გავლენას სამართალწარმოებაზე, აღსანიშნავია, რომ გენდერული სტერეოტიპები სამართლებრივ ნორმებშიც აღწევს და საკმაოდ დიდ გავლენას ახდენს კანონშემოქმედებით პროცესზეც. ამ საკითხებზე საუბრისას, პირველ რიგში განვმარტოთ სექსიზმი, ოქსფორდის გამომცემლობის მიერ გამოცემულ ლექსიკონში სექსიზმი განმარტებულია, როგორც „სქესობრივი ნიშნით წინასწარგანწყობა, სტერეოტიპული მსჯელობა ან დისკრიმინაცია, რომელთა ობიექტები უფრო ხშირად ქალები არიან.“[41]

 როგორც ვხედავთ სექსიზმი გენდერულ დისკრიმინაციასაც მოიცავს, თუმცა, არის მნიშვნელოვანი სხვაობა: სექსიზმი ბიოლოგიური სქესით განპირობებული წინასწარგანწყობაა, მაშინ როდესაც გენდერული დისკრიმინაცია გულისხმობს სპეციფიკურად გენდერულ იდენტობასთან დაკავშირებულ დისკრიმინაციას. [42]

გენდერული სტერეოტიპების თანახმად, ქალები:

- ემოციური,
- მგრძნობიარე,
- მზრუნველი,
- რბილი,
- მიმტევებელი,
- სისუფთავის მოყვარული,
- კდემამოსილი,

[41] http://www.oxforddictionaries.com/us/definition/american_english/sexism. 2 შულცი, უ. (2003).
[42] შულცი, უ. (2003). იურისტი ქალები გერმანიაში. ფემინიზმის აღქმა და კონსტრუირება.

- ოჯახზე გადაგებული არსებები არიან,

მამაკაცები კი :

- ძლიერები,
- უშიშრები,
- შეუპოვრები,
- თავდაჯერებულები,
- საქმიანები და საქმის მცოდნეები,
- კარიერულ წინსვლაზე მომართულები და ავტორიტეტიც მათ აქვთ.[43]

როგორც ვხედავთ გენდერული სტერეოტიპები სრულიად სხვადასხვა პოზიციაზე აყენებს ქალს და კაცს, თუმცა ეს სტერეოტიპები თითქმის ყველაფერშია ჩადებული, კერძოდ:

- რელიგიაში,
- კულტურაში,
- ისტორიაში,
- ეკონომიკურ ვითარებაში და სხვა.

აღნიშნული სტერეოტიპებით, ქალი ბუნებრივად უფრო დაბალ პოზიციაზეა ვიდრე მამაკაცი, რაც იმას ნიშნავს, რომ ქალი მას უნდა დაემორჩილოს.

რა თქმა უნდა ამას არანაირი გამართლება არ აქვს, რადგან მართალია ფიზიკურად ქალი და კაცი ნამდვილად განსხვავდება, მაგრამ გონებრივად და გსიქიკურად მათ შორის სხვაობა არ არის. ამიტომ მნიშვნელოვანია ფემინისტური ორგანიზაციების არსებობა და მათ მიერ მეტი აქტივობის განხორციელება, რათა საზოგადოებამ აღიქვას რეალობა,

[43] შულცი, უ. (2003). იურისტი ქალები გერმანიაში. ფემინიზმის აღქმა და კონსტრუირება.

რათა შემდეგი თაობები მაინც დავიცვათ სტერეოტიპების გამო ჩადენილი დანაშაულებისაგან.

რაც შეეხება ფემინისტური საქმიანობით დაკავებული ორგანიზაციების ძალისხმევას კანონმდებლობის დახვეწის მიზნით, აღსანიშნავია საქართველოს ახალგაზრდა ადვოკატთა ასეოციაციიის საქმიანობა ამ მიმართულებით. სწორედ საიამ მიმართა პარლამენტს, განცხადებით რომ მოეხდინათ ფემიციდის განსაკუთრებით მძიმე დანაშაულად აღიარება და ამ გზით გენდერული ნიშნით მოტივირებული მკვლელობების პრევენცია.

ქვეყანაში არსებული ქალთა მიმართ ძალადობის ზოგადი კონტექსტის გათვალისწინებით, საია ერთმნიშვნელოვნად მხარს უჭერს წარმოდგენილ ინიციატივას და აუცილებლად მიიჩნევს გენდერის ნიშნით ჩადენილი ქალთა მკვლელობების მიმართ განსაკუთრებული მიდგომის არსებობას. მათ მიერ მომზადებული დასკვნაც კანონპროექტის შემდგომ სრულყოფას ისახავსდა მიზნად.[44]

მათ ამ მოთხოვნას საფუძვლად ედო ორგანიზაციის მიერ უახლოეს წარსულში ჩატარებული სიღრმისეული კვლევა, რომლის ფარგლებშიც შესწავლილი იქნა ფემიციის საქმეები, ამ მიმართულებით არსებული პრაქტიკა და პრობლემატიკა. შემოთავაზებულ რეკომენდაციებს შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია: ფემიციდის განმარტება - ვინაიდან, მსგავსი ტიპის დანაშაული სიახლეს წარმოადგეს საქართველოს რეალობისათვის და ამავდროულად არ არსებობს ფემიციდის, როგორც ტერმინისა და სისხლის სამართლის დანაშაულის, საყოველთაოდ აღიარებული განმარტება. მათ შემოგვთავაზეს ფემიციდის შემდეგი დეფინიცია: ფემიციდი - გენდერის ნიშნით ჩადენილი:

- ქალის მკვლელობა, ანუ ქალის მკვლელობა, რომლის ჩადენის მოტივი ან კონტექსტი კავშირშია ქალის მიმართ გენდერულ ძალადობასთან,

[44] file:///C:/Users/nikolozi/Downloads/saiam-femicidis-danashaulad-aghiarebastan-mimartebit-saqartvelos-parlaments-sakutari-mosazrebebi-tsarudgina.pdf

- დისკრიმინაციასა ან ქალის დაქვემდებარებულ როლთან, რაც გამოიხატება ქალზე უფლებების ქონის სურვილით, ქალთან შედარებით უპირატესი მდგომარეობით, ქალის მიმართ მესაკუთრული დამოკიდებულებით, მისი ქცევის კონტროლით ან გენდერთან დაკავშირებული სხვა მიზეზით.
- ასევე, ქალის თვითმკვლელობამდე მიყვანა ზემოაღნიშნული მიზეზებით; [45]

რაც შეეხება, დანაშაულის ამსრულებელს, საიას შეთავაზებით „დანაშაულის ამსრულებელთა წრე დიდწილად კავშირშია ქალის ოჯახთან და ქმნის განცდას, რომ ფემიციდი ოჯახური ძალადობის ერთგვარ უკიდურეს ფორმას წარმოადგეს, თუმცა საერთაშორისო გამოცდილება და საქართველოში არსებული ვითარების პრაქტიკის ანაზილი გვიჩვენებს, რომ არსებობს ფემიციდის სხვადასხვა ტიპი და იგი არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს მხოლოდ ოჯახში ჩადენილ ქალის მკვლელობად.“[46]

ახლა შემოგთავაზებთ საიას შეთავაზებას, შემდეგ პარაგრაფში კი განვიხილავთ არსებული ვარიანტს. საიას შეთავაზებით: „ფემიციდი - გენდერული ნიშნით მოტივირებული ქალის გაზრახ მკვლელობა მეუღლის, ყოფილი მეუღლის, პარტნიორის, ყოფილი პარტნიორის, ოჯახის სხვა წევრის, ქალთან ინტიმური (ემოციური თუ სექსუალური) კავშირის მსურველი ან სხვა პირის მიერ.“ რაც შეეხება დამამძიმებელ გარემოებებს, საიას აზრით დამამძიმებელი გარემოებები უნდა შეიცავდეს ევროპის საბჭოს კონვენციაში ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის შესახებ (სტამბოლის კონვენცია) არსებულ გარემოებებს.

ამასთანავე უმნიშვნელოვანესია, რომ განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს სამართალდამცავთა შესაბამისად გადამზადებას და მათ მიერ ზუსტ და გაწერილ ქმედებას.

რაც შეეხება სასჯელს ძალიან მნიშვნელოვანია სასჯელის ოდენობის სწორად განსაზღვრა. საიას კანონპროექტის თანახმად, „ფემიციდი ისჯება თავისუფლების

[45] file:///C:/Users/nikolozi/Downloads/saiam-femicidis-danashaulad-aghiarebastan-mimartebit-saqartvelos-parlaments-sakutari-mosazrebebi-tsarudgina.pdf
[46] file:///C:/Users/nikolozi/Downloads/saiam-femicidis-danashaulad-aghiarebastan-mimartebit-saqartvelos-parlaments-sakutari-mosazrebebi-tsarudgina.pdf

აღკვეთით თერთმეტიდან თოთხმეტ წლამდე. იმ პირობებში, როდესაც განზრახ მკვლელობა დამამძიმებელი გარემოებების გარეშე (108-ე მუხლი) მაქსიმალური სასჯელის სახედ თხუთმეტ წელს ითვალისწინებს, ხოლო განზრახ მკვლელობა რასობრივი, რელიგიური, ეროვნული ან ეთნიკური შეუწყნარებლობის გამო (109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი) თავისუფლების აღკვეთას ცამეტიდან ჩვიდმეტ წლამდე.[47] ვფიქრობთ, სასურველია გადაიხედოს გენდერული ნიშნით მოტივირებული ქალთა მკვლელობებისათვის გათვალისწინებული თავისუფლების აღკვეთის ვადა.

ასევე აღსანიშანავია გაეროს ქალთა ორგანიზაციის საქმიანობა ამ მიმართულებით, მათ გამართეს რამდენიმე შეხვედრა რომლის მიზანიც ქალებისა და გოგოების მიმართ ძალადობასთან/ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებული კანონმდებლობის გაუმჯობესება იყო.

აღნიშნულ შეხვედრაზე მოწვეულნი იყვნენ მთავრობის და შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები. მაგალითად, შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა საკანონმდებლო ცვლილებების პროექტზე ისაუბრა. აღნიშნა, რომ :

- სანქციები ოჯახში ძალადობაზე კიდევ უფრო გამკაცრდება,
- გენდერული მოტივით გარკვეული დანაშაულების ჩადენა დამამძიმებელ გარემოებად იქნება მიჩნეული და სასჯელი ოჯახური დანაშაულის განმეორებით ჩადენისთვის გამკაცრდება.
- ამას გარდა, შემაკავებელი და დამცავი ორდერის პირობების დარღვევისთვის, დღეს არსებული ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის ნაცვლად, პირდაპირ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა იქნება გათვალისწინებული.[48]

აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ შეხვედრაზე შინაგან საქმეთა სამინისტრომ გაცემული დაპირებები შეასრულა, ნამდვილად გამკავრდა სასჯელი ოჯახური ძალადობისათვის.

---

[47] file:///C:/Users/nikolozi/Downloads/saiam-femicidis-danashaulad-aghiarebastan-mimartebit-saqartvelos-parlaments-sakutari-mosazrebebi-tsarudgina.pdf

[48] http://georgia.unwomen.org/ka/news/stories/2018/08/un-women-convenes-the-task-force-on-ending-violence-against-women-and-girls

ამრიგად, როგორც ვხედავთ საია და სხვა ორგანიზაციებიც მეტნაკლებად ჩართულნი არიან კანონშემოქმედებით პროცესში.

2.3 ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ საქართველოში არსებული თანამედროვე კანონმდებლობა

ქალთა მიმართ ძლადობის შესახებ მუხლები არსებობს სისხლის სამართლის კოდექსში, ადმინისტრაციულ კოდექსში და ასევე არსებობს სპეციალური კანონი „ ქალთა მიმართ ძალადობის ან|და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“, რომელიც მიღებულია 2017 წელს. აღნიშნული კანონის რეგულირების სფეროდ განსაზღვრულია საზოგადოებრივ და პირად ცხოვრებაში ქალთა მიმართ ძალადობის ან და ოჯახში ძალადობისათვის დამახასიათებელ ქმედებათა ერთობლიობას, ასევე ძალადობის გამოვლენისა და აღკვეთის სამართლებრივ და ორგანიზაციულ საფუძველს, აგრეთვე მსხვერპლთა სოციალური და სამართლებრივი დაცვისა და დახმარების გარანტიებს.

რაც შეეხება კანონის მიზანს, მას წარმოადგენს“

ა) ოჯახის წევრთა უფლებრივი თანასწორობის აღიარებით მათი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის, ფიზიკური და ფსიქოლოგიური ხელშეუხებლობის, ოჯახური ღირებულებების დაცვის საკანონმდებლო გარანტიების შექმნის უზრუნველყოფა;

ა1) ქალთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის, ფიზიკური, ფსიქოლოგიური, სექსუალური და ეკონომიკური ხელშეუხებლობის საკანონმდებლო გარანტიების შექმნის უზრუნველყოფა;

ბ) ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის გამოვლენისათვის, აღკვეთისა და თავიდან აცილებისათვის ეფექტიანი საკანონმდებლო მექანიზმების შექმნა;

გ) მსხვერპლთათვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის სისტემის შექმნა;

დ) მსხვერპლთა დაცვის, დახმარებისა და რეაბილიტაციის საფუძვლების შექმნა;

ე) ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის თავიდან აცილებისათვის და ძალადობის წინააღმდეგ საბრძოლველად სხვადასხვა ინსტიტუტს შორის თანამშრომლობის უზრუნველყოფა;

ვ) მოძალადეთა დამოკიდებულებებისა და ქცევის კორექციისკენ მიმართული ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობის უზრუნველყოფა.[49]

კანონში მოცემულია როგორც ძალადობის დეფინიცია ისე ქალთა მიმართ ძალადობის დეფინიცია.

კერძოდ აღნიშნულია, რომ: „ოჯახში ძალადობა გულისხმობს ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევას უგულებელყოფით ან/და ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, სექსუალური ძალადობით ან იძულებით.“

ქალთა მიმართ ძალადობა კი განმარტებულია შემდეგნაირად: „ქალთა მიმართ ძალადობა გულისხმობს საზოგადოებრივ თუ პირად ცხოვრებაში ქალების მიმართ გენდერული ნიშნით ჩადენილი ძალადობისათვის დამახასიათებელ ყველა ქმედებას, რომელთაც შედეგად მოჰყვება ან შეიძლება მოჰყვეს ქალებისთვის ფიზიკური, ფსიქოლოგიური ან სექსუალური ტანჯვის ან ეკონომიკური ზიანის მიყენება, მათ შორის, ასეთი ქმედებების ჩადენის მუქარა, ქალების იძულება ან მათთვის თავისუფლების თვითნებური აღკვეთა.“[50]

[49] https://matsne.gov.ge/ka/document/view/26422?publication=14
[50] https://matsne.gov.ge/ka/document/view/26422?publication=14

აღნიშნული კანონის ღირსებად შეიძლება ჩაითვალოს ის რომ მის მეორე თავში საუბარია ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციაზე. კერძოდ აღნიშნულია, რომ „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის პრევენციის მექანიზმები გულისხმობს იმ სოციალურ, ეკონომიკურ, სამართლებრივ და სხვა ღონისძიებათა ერთობლიობას, რომლებიც მიმართულია ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მიზეზებისა და წინაპირობების თავიდან აცილებისკენ, ძალადობის აღკვეთისკენ, მოძალადის სამართლებრივი დევნისკენ, მისი დამოკიდებულებებისა და ქცევის კორექციისკენ, მსხვერპლის რეაბილიტაციისა და ადაპტაციისკენ. სახელმწიფო თავისი უფლებამოსილი ორგანოების მეშვეობით ხელს უწყობს და უზრუნველყოფს ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის პრევენციის მექანიზმების დანერგვასა და განხორციელებას.[51]

ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის პრევენციის მექანიზმები გულისხმობს:

ა) იმ ფაქტორების ანალიზს, შესწავლასა და შეფასებას, რომლებიც ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მიზეზებია;

ბ) ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის გამოსავლენად და აღსაკვეთად ეფექტიანი სამართლებრივი მეთოდების დანერგვას;

გ) შესაბამისი სტატისტიკის წარმოებას;

დ) იმ პირთა მიმართ პრევენციული ღონისძიებების განხორციელებას, რომლებიც ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის ჩამდენ რისკჯგუფებს განეკუთვნებიან ან რომლებმაც ქალთა მიმართ ძალადობა ან/და ოჯახში ძალადობა ჩაიდინეს;

ე) სათანადო საინფორმაციო-საგანმანათლებლო კამპანიის წარმართვას, რათა ადამიანებს ჰქონდეთ ინფორმაცია თავიანთი უფლებებისა და თავისუფლებების, მოვალეობების, აგრეთვე შესაბამისი დაცვის გარანტიების თაობაზე, მათ შორის, იმ

[51] https://matsne.gov.ge/ka/document/view/26422?publication=14

უფლებებისა და მოვალეობების შესახებ, რომლებიც ოჯახის წევრთა თანასწორობასა და ურთიერთვალდებულებებს უზრუნველყოფს;

ვ) ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის შემთხვევაში მოძალადის პასუხისმგებლობის, მსხვერპლის უფლებების და ამ უფლებების დაცვის გარანტიების შესახებ ინფორმაციის გავრცელებასა და ხელმისაწვდომობას;

ზ) ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის შემთხვევაში მსხვერპლისათვის დახმარებისა და დაცვის ღონისძიებების, ხოლო მოძალადისათვის – დამოკიდებულებებისა და ქცევის კორექციისკენ მიმართული ღონისძიებების განხორციელებას;

თ) ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის პრევენციის უზრუნველსაყოფად დაინტერესებულ ინსტიტუტებთან ერთად ერთობლივი პროგრამების შექმნასა და მხარდაჭერას.[52]

რაც შეეხება აღკვეთის მექანიზმებს, კანონი ითვალისწინებს დამცავი და შემაკავებელი ორდენის გამოცემას. შემაკავებელი და დამცავი ორდენები გათვლილია დროებით ღონისძიებად. შემაკავებელ ორდენს გასცემს პოლიციის უფლებამოსილი თანამშრომელი, დამცავ ორენს კი პირველი ინსტაციის სასამართლო.

შემაკავებელი ორდენი გაიცემა 1 თვის ვადით, დამცავი ორდენი კი 6 თვემდე ვადით. აღნიშნული საშუალებებით ამსრულებელს ეკრძალება მსხვერპლთან მიახლოება. ამ პერიოდის განმავლობაში ძალადობის განმეორებით დაფიქსირების შემთხვევაში პირი პასუხს აგებს სისხლის სამართლის წესით.

კანონი ასევე ითვალისწინებს არასრულწლოვანი ბავშვების დაცვის ღონისძიებას და საჭიროების შემთხვევაში განაცალკევებს მას ორივე მშობლისგან ან და ოჯახის სხვა წევრებისაგან.

რაც შეეხება სისხლის სამართლის კოდექსს, ოჯახური ძალადობა გათვალისწინებულია 126 (1) მუხლით, სადაც აღნიშნულია, რომ ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა

[52] https://matsne.gov.ge/ka/document/view/26422?publication=14

წევრის მიმართ ძალადობა, სისტემატური შეურაცხყოფა, შანტაჟი ან დამცირება, რამაც გამოიწვია ფიზიკური ტკივილი ან ტანჯვა და რასაც არ მოჰყოლია ამ კოდექსის 117-ე, 118-ე ან 120-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი, ისჯება საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ოთხმოციდან ას ორმოცდაათ საათამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე, იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვით ან უამისოდ.

2. იგივე ქმედება, ჩადენილი:

ა) წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის, უმწეო მდგომარეობაში მყოფის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის ან ორსული ქალის მიმართ;

ბ) არასრულწლოვნის თანდასწრებით მისივე ოჯახის წევრის მიმართ;

გ) ორი ან მეტი პირის მიმართ;

დ) ჯგუფურად;

ე) არაერთგზის,

ისჯება საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ორასიდან ოთხას საათამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთიდან სამ წლამდე, იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვით ან უამისოდ.[53]

ის, რომ ქალთა მიმართ ძალადობა პირდაპირ სისხლის სამართლის წესით ისჯება, ვფიქრობ დიდ წილად იმ ორგანიზაციების დამსახურებაა ვინც ამ კუთხით მუშაობენ.

[53] https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426?publication=208

თავი 3.კვლევა

ნაშრომის სრულყოფის და ფემინისტური მოძრაობის გავლენის შესწავლის მიზნით, ქალთა მიმართ ძალადობის კრიმინალიზაციაზე საქართველოში, განვახორციელეთ კვლევა. კვლევა მიზნად ისახავდა საზოგადოების ინფორმირების დონის გამორკვევას ზოგადად ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებზე და ასევე ქალთა საკითხებით დაინტერესებული ორგანიზაციების საქმიანობის შეფასებას საზოგადოების მიერ.

კვლევაში მონაწილეობდა 70 ადამიანი, მათ შორის 35 მდედრობითი სქესის და 35 მამრობითი სქესის. შეკითხვები ასე გადანაწილდა:

დიაგრამა: 1 ასაკი?



კვლევაში მონაწილე პირთაგან გამოვლინდა შემდეგი მონაცემები ასაკობრივი მონაცემების გამოკვლევისას, მონაწილეთა 55 მონაწილის ასაკობრივივი მდგომარეობა განისაზღვრა 18 დან 25 მდე, 26 დან 35 მდე ასაკის 15 მონაწილე, 36 ან45 მდე 5 მონაწილე,46 დან 64 წლამდე 3 მონაწილე, 65+ 2 მონაწილე.

დიაგრამა: 2 სქესი?



კვლევის შემდეგი კითხვა მდგომარეობდა დაგვედგინა სქესი, სადაც გამოვლინდა შემდეგი მონაცემები:

მდედრობითი -60 მონაწილე,

მამრობითი-20 მონაწილე.

დიაგრამა#3 განათლება?



კვლევის შემდეგი მიზანს წარმოადგენდა დაგვედგინა მონაწილე პირთა განათლების დონე, მონაწილე პირთაგან გამოვლინდა შემდეგი მონაცემები:

საშუალო განათლება-5 მონაწილე,

არასრული უმაღლესი-20 მონაწილე,

უმაღლესი-55 მონაწილე,

დიაგრამა#4 ფლობთ თუ არა რაიმე ინფორმაციას ქალთა მიმართ ძალადობის და ასევე ოჯახური ძალადობის შესახებ?



კვლევის შემდეგი კითხვა მდგომარეობდა განგვესაზღვრა ფლობთ თუ არა რაიმე ინფორმაციას ქალთა მიმართ ძალადობის და ასევე ოჯახური ძალადობის შესახებ?

დიახ 65 მონაწილე.

არა-15 მონაწილე.

დიაგრამა#5 ქალთა მიმართ ძალადობის რა წყაროებიდან ფლობთ ინფორმაციას?



კვლევის შემდეგი კითხვა მდგომარეობდა დაგვედგინა რა წყაროების მეშვეობით ქონდათ ინფორმაცია კვლევის პირებს ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ ინფორმაცია, გამოვლინდა შემდეგი მონაცემები: ტელევიზია- 35 მონაწილე, სოც.ქსელი-19 მონაწილე, მეგობრებიდან-26 მონაწილე

დიაგრამა#6 გაქვთ თუ არა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ქალთა მიმართ ძალადობაზე პასუხისმგებლობა გამკაცრდა?



კვლევის შემდეგი კითხვა მდგომარეობდა დაგვედგინა, აქვთ თუ არა ქალთა მიმართ ძალადობაზე პასუხისმგებლობის გამკაცრებაზე ინფორმაცია,

დიახ-15.

არა -65 მონაწილე.

1. **დიაგრამა#7** იცნობთ თუ არა საქართველოში გენდერის და ქალთა მიმართ ძალადობის კუთხით მომუშავე ორგანიზაციებს ?



კვლევის შემდეგი კითხვა მდგომარეობდა, გაგვეგო მონაწილე სუბიექტები იცნობდნენ თუ არა საქართველოში გენდერულ საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციებს? კვლევის პასუხი პასუხები გამოვლინდა შემდეგი ოდენობით:

დიახ 23 მონაწილე,

არა 57 მონაწილე.

დიაგრამა#8 რამდენად ეფექტურად შეაფასებდით მათ საქმიანობას?



კვლევის შემდეგი კითხვა მდგომარეობდა დაგვედგინა მოქალაქეთა განწყობა, თუ როგორ აფასებდნენ გენდერულ და ქალთა ორგანიზაციების საქმიანობას, აღნიშნულ კითხვაზე გაცემული იქნა შემდეგი სახის პასუხები:

ეფექტურად- 28 მონაწილე,

ნაკლებად ეფექტურად 18 მონაწილე,

უმნიშვნელოდ 23 მონაწილე,

არვიცი 11 მონაწილე

დიაგრამა# 9 ქონდათ თუ არა ბოლო ორი წლის უშუალოდ შეხება ქალთა მიმართ ძალადობის ფაქტთან?



კვლევის შემდეგი კითხვა მდგომარეობდა დაგვედგინა ქონდათ თუ არა ბოლო ორი წლის უშუალოდ შეხება ქალთა მიმართ ძალადობის ფაქტთან?

დიახ-12 მონაწილე,

არა- 68 მონაწილე.

დასკვნა

ნაშრომზე მუშაობისას განვიხილეთ თეორიული ლიტერატურა და ჩავატარეთ კვლევა, რა დროსაც გამოვლინდა შემდეგი.

ნაშრომზე მუშაობისას გამოვლინდა შემდეგი სახის პრობლემური ასპექტები, და გარემოებები, რაც ხელის შემშლელ ფაქტორად შეიძლება მივიჩნიოთ ფემინისტური ორგანიზაციების საქმიანობის შემთხვევაში.

ნაშრომზე მუშაობისას ჩატარებული კვლევის შედეგად გამოვლინდა რომ გამოკითხულთა უმრავლესობას, მწირი ინფორმაცია აქვს ფემინისტური ორგანიზაციების შესახებ, რაც ამცირებს ფემინისტური ორგანიზაციების გავლენას და ეფექტურობას გავლენის მოხდენის თვალსაზრისით.

გამოკითხულთა უმრავლესობას არ ქონდა ინფორმაცია ქალთა მიმართ ძალადობის კანონის გამკაცრების შესახებ. ეს ფაქტი ერთის მხრივ მოწმობს, რომ ფემინისტური ორგანზიაციების და სხვა დაცვითი ორგანიზაციების მხრიდან არასათანადოდ ხორციელდება ინფორმაციის მიწოდება მოსახლეობისთვის, რადგან არსებული ინფორმაციული სიმწირე, რაც აღნიშნული მიმართულებით არსებობს, გამოწვეულია არასათანადო საინფორმაციო პოლიტიკის განხორციელების შედეგად.

გამოკითხულთა უმრავლესობა ქალთა ორგანიზაციების საქმიანობას არაეფექტურად აფასებენ, აქ საუბარია ქალთა ორგანიზაციებზე, რომლებიც საქართველოში ფუნქციონირებენ.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ გამოკითულთა უმრავლესობას შეხება არ ჰქონია ფემინისტურ ორგანიზაციებთან.

ამრიგად, საქართველოში მოქმედებს რამდენიმე ფემინისრური ორგანიზაცია, რომლებიც მეტ ნაკლები აქტივობით გამოირჩევიან, მრავლად მოიპოვება მათი შენიშვნები და რეკომენდაციები ინტერნერით და ტელევიზიითაც, თუმცა კანონმდებლობის დახვდეწაზე მათი რეკომენდციები იშვიათად ახდენს გავლენას.

თუმცა, აუცილებლად უნდა აიღნიშნოს ბოლო შემთხვევა, საუბარი მაქვს ოჯახური ძალადობის სისხლის სამართლის წესით დასჯაზე. აღნიშნულ ცვლილებებზე ნამდვილად მოახდინეს ზემოქმედება ფემინისტურმა ორგანიზაციებმა, თუმცა იყო მთავრობის ნებაც.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გაფრინდაშვილი ლ. „ფემინიზმი და ქალის უფლებები: მოძრაობა ნაპირიდან ცენტრისკენ“ თბილისი 2015წ.
2. გამთენაძე.ზ„ქალთა მოძრაობა საქართველოში“,https://civicuscela.wordpress.com (02.06.2019)
3. კიკნაძე თ. გენდერი - „სოციალური და პოლიტიკური სწავლებანი. თბ.2015
4. მელაშვილი თ, „ კატო მიქელაძე: ქართული ფემინიზმის უცნობი ისტორიები.“თბ. 2016
5. ტაბიძე მ. მოხსენება - „ფემინსიტური ჯგუფები საქართელოში: დღის წესრიგი, პოლიტიკა და პრაქტიკა“.
6. შულცი, უ. (2003). იურისტი ქალები გერმანიაში. ფემინიზმის აღქმა და კონსტრუირება.
7. ფრომი ე.ყოფნის ხელოვნება. თბილისი 2015, გვ.65

8. ჰეივუდი ე. პოლიტიკური იდეოლოგიები, თბილისი 2010

9. „ვის ეშინია ფემინიზმის საქართველოში?“ ჰაინრიხ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონული ბიურო., (2013წ.)

10. ლექციების კრებული, რომელიც გამოცემულია ჰაინრიხ ბიოლის სამხრეთ კავკასიის ბიუროს მხარდაჭერით - „ბრძოლა საჯარო სივრცისთვის: როცა პირადი პოლიტიკურია.“თბილისი, 2016წ.

11. ბიოლის ფონდი„ფემინიზმი და ქალის უფლებები: მოძრაობა ნაპირიდან ცენტრისკენ“ თბილისი: 2014, http://feminism-boell.org/ka/2014/05/08/peminizmi-da-kalis-uplebebi-mozraoba-napiridan-centrisaken

12. ოჯახში ძალადობა და ქალთა მიმართ ძალადობა საქართველოში, სპეციალური ანგარიში, საქართველოს სახალხო დამცველი,საპარლამენტო ანგარიში, 2014

13. ქალთა მიმართ ძალადობის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენცია, დასკვნითი შენიშვნები, 4-5.

14. გენდერულ ტერმინთა მოკლე ლექსიკონი - http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0dictiona--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-------0-1l--11-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-11-1-0utfZz-8-00&a=d&cl=CL4&d=HASH01bcd21bf125d27c8b3f53a3.13

15. Karen Offen, DEFINING FEMINISM: A COMPARATIVE HISTORICAL APPROAChttps://pdfs.semanticscholar.org/b05b/577a4e10cd22a656cc1a9c76c1424b8958cf.pdf

16. What is feminism http://gestproject.eu/wp-content/uploads/2016/11/Anastasia-Flouli-AUTH-3-Waves-of-Feminism.pdf

17. DEFINING FEMINISM: A COMPARATIVE HISTORICAL APPROAC https://pdfs.semanticscholar.org/b05b/577a4e10cd22a656cc1a9c76c1424b8958cf.pdf

18. HISTORY AND THEORY OF FEMINISM, http://www.gender.cawater-info.net/knowledge_base/rubricator/feminism_e.htm
19. საქართველოს კანონი „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ.“ - https://matsne.gov.ge/ka/document/view/26422?publication=14
20. შინაგან საქმეთა სამინისტრო - https://police.ge/ge/projects/odjakhshi-dzaladoba
21. გაეროს ქალთა ორგანიზაცია - http://georgia.unwomen.org/ka
22. ეროვნული კვლევა საქართველოში ოჯახში ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ, 2009, გვ. 33 და 44
23. საქართველოს სახალხო დამცველი - http://www.ombudsman.ge/geo/akhali-ambebi/shexvedra-studentebtan-qalta-mimart-dzaladobis-sakitxebze
24. ახალი კვლევის მიხედვით, საქართველოში 7-დან 1 ქალი ოჯახში ძალადობის მსხვერპლია - http://www.tabula.ge/ge/story/143954-2018-tsels-saqartveloshi-qalze-dzaladobis-minimum-5875-shemtxveva-moxda
25. საქართველოს სახალხო დამცველი - http://www.ombudsman.ge/geo/akhali-ambebi/shexvedra-studentebtan-qalta-mimart-dzaladobis-sakitxebze რეპროდუქციული ჯანმრთელობის კვლევა, საბოლოო ანგარიში, დაავადების კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრი, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, საქართველოს ეროვნული სტატისტიკის სამსახური, 2010, გვ.312.
26. ახალი კვლევის მიხედვით, საქართველოში 7-დან 1 ქალი ოჯახში ძალადობის მსხვერპლია - http://liberali.ge/news/view/34756/akhali-kvlevis-mikhedvit-saqartveloshi-7dan-1-qali-ojakhshi-dzaladobis-mskhverplia
27. ახალი კვლევის მიხედვით, საქართველოში 7-დან 1 ქალი ოჯახში ძალადობის მსხვერპლია - http://liberali.ge/news/view/34756/akhali-kvlevis-mikhedvit-saqartveloshi-7dan-1-qali-ojakhshi-dzaladobis-mskhverplia
28. 2018 წელს საქართველოში ქალზე ძალადობის მინიმუმ 5875 შემთხვევა მოხდა - http://www.tabula.ge/ge/story/143954-2018-tsels-saqartveloshi-qalze-dzaladobis-minimum-5875-shemtxveva-moxda
29. 2018 წელს ქალთა მკვლელობების მაჩვენებელი 58%-ით შემცირდა – შსს - https://reginfo.ge/human-rights/item/10737-2018-xels-qalta-mkvlelobebis-machvenebeli-58-it-shemzirda-%E2%80%93-shss
30. http://www.parliament.ge/uploads/other/75/75719.pdf

31. http://www.ginsc.net/home.php?option=article&id=33899&lang=ge#.XRnQVOszbIU
32. http://www.oxforddictionaries.com/us/definition/american_english/sexism. 2 შულცი, უ. (2003).
33. file:///C:/Users/nikolozi/Downloads/saiam-femicidis-danashaulad-aghiarebastan-mimartebit-saqartvelos-parlaments-sakutari-mosazrebebi-tsarudgina.pdf
34. http://georgia.unwomen.org/ka/news/stories/2018/08/un-women-convenes-the-task-force-on-ending-violence-against-women-and-girls
35. https://matsne.gov.ge/ka/document/view/26422?publication=14
36. https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426?publication=208